14
844/ყ/11164

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. ● № 39 (312) ● სამშაბათი, 3 მარტი, 1992 წელი. ● ფასი 60 კაპიკი.

წუხელ შევიტყვეთ

კომენდატურის ცნობა

— ერთ-ერთი ხაბლის სარდაფში, — აცნობა საქინფორმის კორესპონდენტს თბილისის სამხედრო კომენდანტმა გელა ლანჩავამ, ნაპოვნია თხუთმეტი ნაღმი, რომელიც დივერსიისათვის იყო გამზადებული.

თბილისის სამხედრო კომენდანტის მოადგილემ მურთაზ გაბუნიამ გვითხრა, რომ პირველ მარტს, ღამით, საბურთალოს რაიონში, კერძოდ, მიცკევიჩის ქუჩაზე დაჭრეს მოქალაქე.

ვაკის რაიონში სროლის დროს დაჭრილია ერთი კაცი. სროლა იყო ნუცუბიძის ქუჩაზეც.

თბილისის სადგურის მოედანზე გრძელდება ექსპრეზიდენტის მხარდამჭერი მიტინგის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე.

ქალაქის დანარჩენ რაიონებში შედარებით სიმშვიდე იყო.

გულიკო მარკოზაშვილი

ზვავი საზღვართან

მორიგი სიურპრიზი მოგვიტანა ამინდობამ. ძლიერი თოვის, კოკისპირული წვიმების შედეგად უზარმაზარი კლდე ჩამოწვა გზის ორმოცკილომეტრიან მონაკვეთზე, რომელიც სოფელ კვარიათიდან სარფში მიდის.

— ქვის ცვენა წინათაც ყოფილა, მაგრამ ესოდენ დიდი არასოდეს, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს ხელვაჩაურის რაიონში წარგზავნილმა აჭარის მინისტრთა საბჭოს სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა თამაზ აბაშიძემ. — ტრასის გასაწმენდად გამოყვანილია „აჭარავტოგზის" გაერთიანების მძლავრი ტექნიკა — გრეიდერები, ტრაქტორები, ასაფეთქებელი და საბურღი მოწყობილობა. ვითარებას ართულებს ისიც, რომ აქ ძალიან ბევრ ხალხს მოუყრია თავი, რომლებსაც თურქეთში გამგზავრება სურთ. ამის შედეგად ფერხდება საჭირო ასაფეთქებელი, გასაწმენდი სამუშაოების განხორციელება. ამიტომ მიღებულია გადაწყვეტილება, დროებით, ერთი-ორი დღით შეაჩერონ მოქალაქეთა გაშვება, რომლებსაც აქედან საზღვარგარეთ წასვლა სურთ. ამ დროის განმავლობაში კი ალმოფხვრიან სტიქიის შედეგებს. უნდა გაიტანონ 5-7 ათასი კუბური მეტრი კლდის ქანები.

საქართველოს კონსტიტუციის მოქმედების გაგრძელება ნიშნავს დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენას

საქართველოს სამოქალაქო სახალხო შეკრების რეზოლუცია

საქართველოს სამოქალაქო სახალხო შეკრება, რომელიც გაიმართა 1992 წლის 29 თებერვალს თბილისის სპორტის სასახლის დიდ დარბაზში, და ამ შეკრების მონაწილე უკლებლივ ყველა პოლიტიკური პარტია, ორგანიზაცია, საზოგადოებრივი გაერთიანება და პერსონალური წარმომადგენელი, მიესალმებიან საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს მიერ მიღებულ დეკლარაციას საქართველოს კონსტიტუციის მოქმედების გაგრძელების შესახებ. საქართველოს კონსტიტუციის მოქმედების გაგრძელება ნიშნავს დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენას, რომელიც თავის დროზე ოფიციალურ დონეზე იქნა აღიარებული ერთა ლიგისა და მრავალი სახელმწიფოს მიერ და რომელიც ფაქტობრივად შეაჩერა საბჭოთა რუსეთმა დამოუკიდებელი საქართველოს მიმართ განხორციელებული შეიარაღებული აგრესიის შედეგად.

დღეს, როდესაც საქართველოს სახელმწიფოს ფუძემდებლური და უნივერსალური სამართლებრივი აქტის — საქართველოს კონსტიტუციის — ამოქმედებით ქართველ ერს მიეცა რეალური შესაძლებლობა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისა, სამოქალაქო სახალხო შეკრებას მიაჩნია, რომ დღევანდელი რთული პოლიტიკური სიტუაციის გათვალისწინებით უპირველესი მნიშვნელობის ამოცანებია შემდეგი კონკრეტული ღონისძიებების განხორციელება:

ა) საქართველოს მოქალაქეობის აღდგენა და დეკრეტის მიღება საქართველოს მოქალაქეობის შესახებ;

ბ) დეკრეტის მიღება საქართველოს შეიარაღებული ძალების შესახებ და ერთიანი ეროვნული შეიარაღებული ძალებისა და შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურების შექმნა;

გ) საზოგადოებრივი ცხოვრების სტაბილიზაციისათვის მაქსიმალურად ხელშეწყობა სახელმწიფოს მხრივ სამართალდამცავი ორგანოების მუშაობის გასააქტიურებლად;

დ) რაც შეიძლება უმოკლეს ვადაში შესაბამისი დეკრეტის საფუძველზე — საქართველოს შეიარაღებული ძალების შესახებ— ახალგაზრდების გაწვევა სავალდებულო სამხედრო სამსახურში;

ე) საქართველოს პარლამენტის არჩევნების ზუსტი ვადის განსაზღვრა და საქართველოს კონსტიტუციის საფუძველზე საარჩევნო კანონის შემუშავება.

საქართველოს სამოქალაქო შეკრება მოითხოვს, რომ საქართველოს დღევანდელი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრება წარიმართოს საქართველოს კონსტიტუციის პრინციპებისა და დებულებების შესაბამისად.

საქართველოს სამოქალაქო სახალხო შეკრება:
საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭო
საქართველოს რესპუბლიკის დროებითი მთავრობა
საქართველოს ეროვნული კონგრესი
საქართველოს პოლიტიკური პარტიების საკოორდინაციო საბჭო.

მომავალი დემოკრატიას ეკუთვნის

ქართველი ერის ბოლოდროინდელ ისტორიაში უდიდესი მნიშვნელობის მოვლენას — საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის აღდგენას — მიეძღვნა 29 თებერვალს სამოქალაქო სახალხო შეკრება თბილისის სპორტის სასახლეში. იგი გაიმართა საქართველოს ეროვნული კონგრესისა და პოლიტიკური პარტიების საკოორდინაციო საბჭოს ინიციატივით. შეკრებას ესწრებოდნენ საქართველოს სამხედრო საბჭოს წევრები, პოლიტიკური პარტიებისა და ორგანიზაციების ლიდერები, შემოქმედებითი კავშირების, მეცნიერებათა აკადემიის, უმაღლესი სასწავლებლების, საწარმოო გაერთიანებების წარმომადგენლები.

შეკრებას უძღვებოდა საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის მთავარი კომიტეტის წევრი თორნიკე ფიფია.

საქართველოს სამოციქულო ეკლესიის სახელით ქართველ ერს მიესალმა და ღირსშესანიშნავი დღე მიულოცა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ. 1921 წლის კონსტიტუციის აღდგენა, — თქვა მან — არ უნდა იყოს მარტოოდენ თავისუფლების დეკლარირება. უმთავრესია, ვართ თუ არა ჩვენ მზად ამ თავისუფლებისათვის, დემოკრატიისათვის. საქართველოს ეკლესიის უპირველესი საზრუნავია ჩვენი ერის სულიერი დონის ამაღლება. ეკლესია არ არის პოლიტიკური ძალა და ცდება ის, ვინც ცდილობს პოლიტიკურ დავაში ჩაითრიოს იგი. ეკლესია ერის სულიერი ძალაა, მისი გამაერთიანებელია.

ქართული ეროვნული მოძრაობის ეს უდიდესი გამარჯვება საზოგადოებრიობას მიულოცეს საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის თავმჯდომარემ **ირაკლი წერეთელმა**, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარემ **გიორგი ჭანტურიამ**, საქართველოს მონარქისტული (კონსერვატიული) პარტიის თავმჯდომარემ **თემურ ჟორჟოლიანმა**, საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის მთავარი კომიტეტის წევრმა **თემურ ხუმბათაშვილმა**, საქართველოს მოქალაქეთა ლიგის თავმჯდომარემ **ვაჟა მთავრიშვილმა**, წმინდა ილია მართლის საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარემ **გურამ გოგბაიძემ**.

მათ აღნიშნეს, რომ ერთადერთი კანონიერი კონსტიტუციის აღდგენით ფაქტობრივად მოხდა ქართული სახელმწიფოებრიობის რესტავრაცია, რასაც მრავალი წელიწადი ესწრაფვოდა ყველა ჯანსაღი და პროგრესული ძალა. საქართველოს სამხედრო საბჭომ ამ კონსტიტუციის აღდგენით განახორციელა ჭეშმარიტად გმირული აქტი. დღეს უკვე აღდგენილი ძირითადი კანონი არის ის იურიდიული დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც უნდა წარიმართოს ჩვენი ქვეყნის მომავალი. მომავალი კი დემოკრატიას ეკუთვნის.

სამოქალაქო შეკრების მონაწილეებს მიესალმა **ქეთევან ბაგრატიონი**, რომელიც ამ ისტორიული დღის აღსანიშნავ ზეიმზე მობრძანდა მეუღლესთან — ჰერცოგ **რაიმონდო ორსინისთან** ერთად. ბატონიშვილმა განაცხადა, რომ კონსტიტუციის აღდგენა საერთაშორისო სამართლის სუბიექტად საქართველოს ცნობის უაღრესად მნიშვნელოვანი პირობაა. მან იმედი გამოთქვა, რომ მოკლე ხანში საქართველო გახდება ის ქვეყანა, სადაც უმაღლესი მსაჯული კონსტიტუცია იქნება, საზეიმო შეხვედრის დასასრულს მიიღეს სამოქალაქო სახალხო შეკრების რეზოლუცია.

მაია ალუდაური.

ვარლამ ბენბიურის ფოტო.

ნომერშია:

- დღეს პოეტმა ისევ მოჰკიდა ხელი თავის იარაღს — კალამს. მე-2-3 გვ.
- სახელმწიფო ბიუჯეტის ჩამოყალიბებაში ყველამ უნდა მიიღოს მონაწილეობა. მე-2 გვ.
- ყარაბაღის საკითხი საერთაშორისო მნიშვნელობის პრობლემა ხდება. მე-3 გვ.
- ქართული სპორტი: დიდი იმედები. მე-4 გვ.

ტელეტაიპის ლენტიდან

ბელარუსეთის რესპუბლიკამ გვცნო

ბელარუსეთის რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა თავისი დადგენილებით ცნო ყოფილი სსრ კავშირის შემადგენლობაში შემავალი სუვერენული სახელმწიფოების, მათ შორის საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობა.

ბელარუსეთის რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ამის თაობაზე გაკეთებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ, პატივს სცემს რა სუვერენულ სახელმწიფოთა ხალხების საკუთარი ბედისა და სახელმწიფო წყობილების დამოუკიდებელი განსაზღვრის, თავისი პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარების უფლებას, მხარს უჭერს ამ სახელმწიფოთა დამოუკიდებლობის აქტებს და ცნობს მათს დამოუკიდებლობას.

რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი, ხელმძღვანელობს რა მრავალი წლის მანძილზე შეძენილი ჩვენი ხალხების ნაყოფიერი ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობით, გამოხატავს პატივისცემას ამ მეგობარი სახელმწიფოებისადმი და გამოთქვამს იმედს, რომ ისინი კვლავაც განავითარებენ თანამშრომლობას ბელარუსეთთან ურთიერთხელსაყრელ საფუძველზე.

ბელარუსეთის რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი სახელმწიფოებს, რომლებმაც თავიანთი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა გამოაცხადეს, მოუწოდებს ცნონ ბელარუსეთის დამოუკიდებელი რესპუბლიკა და დაამყარონ მასთან ყოველმხრივი კავშირურთიერთობა.

ბელარუსეთის დამოუკიდებელმა რესპუბლიკამ განაცხადა, რომ გადაწყვეტილი აქვს განამტკიცოს ეკონომიკური კავშირურთიერთობა, თანამიმდევრულად შეასრულოს თავისი სახელშეკრულებო ვალდებულებანი სახელმწიფოთა სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის, ურთიერთპატივისცემისა და ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პირობით.

●

კომისიის განცხადება

საქართველოს რესპუბლიკის დროებით მთავრობასთან არსებულმა პოლიტიკურ-საკონსულტაციო საბჭოს ცხინვალის რეგიონში კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების კომისიამ გააკეთა განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ რუსეთის მასობრივი ინფორმაციის ზოგიერთი საშუალება ავრცელებს ცნობებს, თითქოს ქართველ „ბოევიკებს" ბლოკში მოუქცევიათ ცხინვალი და უკანასკნელი დღეების მანძილზე განუხრელებოდნენ ამ ქალაქისათვის მასიურებული ცეცხლის დაშენა.

სარწმუნო წყაროებზე დაყრდნობით, კომისია აცხადებს, რომ ამგვარი ინფორმაცია არ შეესაბამება სინამდვილეს და მიზნად ისახავს საქართველოს დროებითი მთავრობის სამშვიდობო ინიციატივების ჩაშლას, აგრეთვე კონფლიქტის შემდგომ გამწვავებას ცხინვალის რეგიონში.

ობიექტური ინფორმაციის გავრცელების მიზნით კომისიას საჭიროდ მიაჩნია ქალაქ ცხინვალში შეიქმნას ერთობლივი საინფორმაციო სამსახური საქართველოს (საქართველოსა და ოსეთის მხარეების), რუსეთისა და საზღვარგარეთის სხვა ქვეყნების წარმომადგენელთა მონაწილეობით.

●

ზაარლანდ-საქართველო: საჰაერო ხიდი მოქმედებს

გრძელდება ჰუმანიტარული ტვირთის ჩამოტანა გერმანიიდან საქართველოში. გასულ შაბათს ზაარბრიუკენიდან კიდევ ერთი თვითმფრინავი ჩამოვიდა თბილისის აეროპორტში. მან ჩამოიტანა მედიკამენტები და შესახვევი მასალა, საბავშვო საზრდო, ტანსაცმელი რესპუბლიკის ნორჩი მოქალაქეებისათვის.

— მოხარული ვართ, რომ შეგვიძლია დავეხმაროთ ქართველ ხალხს ქვეყნისთვის მძიმე ჟამს, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს ზაარბრიუკენის ჯანმრთელობის სამსახურის ხელმძღვანელმა რუდოლფ გობელმა.

— მეგობრები ერთად უნდა იყვნენ ჭირშიც და ლხინშიც. ამიტომ ზაარლანდიდან საქართველოს ჰუმანიტარული დახმარება გაგრძელდება იმდენ ხანს, რამდენიც ეს საჭირო იქნება. ჩვენთან შექმნილია საქართველოს მეგობართა საზოგადოება, რომლის მისამართით მოდის შემოწირულობანი თქვენი ქვეყნისთვის სხვადასხვა სამთავრობო დაწესებულებებისგან, საქველმოქმედო ორგანიზაციებისა და კერძო პირებისგან. გარანტიას გაძლევთ, რომ ზაარლანდ-საქართველოს „საჰაერო ხიდი" გამართულად იმოქმედებს.

ტელეტაიპის ლენტიდან

გუშინ

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკისა" და საქინფორმის კორესპონდენტები

ფაქტი ■ მოვლენა ■ კომენტარი

თბილისის მერიაში

თბილისის მეტრო გაჩერდა! — გვიშველის თუ არა „საქენერგო"?

...ხვალ თბილისში ჩამოდის გავრილ პოპოვი და მოსკოვის მერიის დელეგაცია

გუშინ დავესწარით ქ. თბილისის მერიის დილის თათბირს, რომელზეც მოწვეულნი იყვნენ დედაქალაქის სამსახურებისა და უწყებათა ხელმძღვანელები. ტრადიციულად ასეა: — დედაქალაქის ხელმძღვანელობა თბილისის მერის — ბატონ ოთარ ლითანიშვილის ხელმძღვანელობით გულისყურით იხილავს ჩვენი ქალაქის ცხოვრების ყველა უბანზე წამოჭრილ პრობლემებს და იღებს ოპერატიულ ზომებს მათ გადასაწყვეტად. ამჯერად კიდევ ერთი პრობლემის წინაშე აღმოჩნდა ჩვენი დედაქალაქი — გაჩერდა მეტროპოლიტენი.

— „**იძულებული** გავხდით ასეთი ნაბიჯი გადაგვედგა — აღნიშნა ბატონმა ო. ლითანიშვილმა, რადგან მწყობრიდან გამოვიდოდა მეტროს ელექტრომატარებლები და მთელი ტექნიკა, რომელიც უზრუნველყოფს მეტროპოლიტენის ნორმალურ მუშაობას.

თბილისის მეტროპოლიტენის მუშაობის შეწყვეტის მთავარი მიზეზია ელექტროენერგიის ნაკლებობა, დაბალი სიხშირეები — აღნიშნა ფირმა „თელასის" გენერალურმა დირექტორმა ზურაბ გურგენიძემ — ელექტროდენის ძაბვის ნორმალური დონის უზრუნველსაყოფად „საქენერგოს" სადისპეტჩერო სამსახურს დროებით უნდა გამოერთო მთელი რიგი ქვესადგურები, რაც მათ არ გააკეთეს, თითქოსდა ქალაქის მოსახლეობის გარკვეული ნაწილის ტერორის შიშით. ასეა თუ ისე მეტროპოლიტენი გაჩერდა. რა ზომებს მიიღებს პრობლემის გადასაწყვეტად ენერგეტიკის სამინისტროსა და „საქენერგოს" ხელმძღვანელობა ამას უახლოეს დღეებში დავინახავთ.

ბატონმა ოთარ ლითანიშვილმა გაგვაცნო აგრეთვე ამ დღეებში მისი მოსკოვში ვიზიტის შედეგები. მან აღნიშნა, რომ მასპინძლებმა მოსკოვის მერის ბატონ გავრილ პოპოვის თაოსნობით გადაწყვიტეს, რომ თავიანთი წვლილი შეიტანათ ჩვენი დანგრეული რუსთაველის პროსპექტის ერთი შენობის, კერძოდ, პირველი საშუალო სკოლის აღდგენაში. აღსანიშნავია, რომ სკოლის მშენებლობის ფინანსურ და მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფას მთლიანად თავის თავზე იღებს მოსკოვის მერია.

ბატონმა ოთარ ლითანიშვილმა აღნიშნა ისიც, რომ მოსკოველებმა შემოგვთავაზეს ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობის ხელშეკრულების გაფორმებაც, რომელიც ითვალისწინებს ჩვენს დედაქალაქში 1500 ცალი ავტომანქანა „მოსკვიჩის", ქალაქის მეურნეობისათვის საჭირო მანქანების, ამწეების, ლიფტებისა და სხვა მოწყობილობათა მოწოდებას.

ხვალ თბილისში ჩამოვა ქ. მოსკოვის მერიის ოფიციალური დელეგაცია მოსკოვის მერის ბატონ გავრილ პოპოვის ხელმძღვანელობით, რომელიც გამართავს მოლაპარაკებას ჩვენი დედაქალაქის ხელმძღვანელობასთან. აქვე გაიმართება ორმხრივი ხელშეკრულების ხელმოწერაც.

გუშინ ჩვენს დედაქალაქში ჩამოიტანეს მოსკოვის მერიის საჩუქარი — 40 ტონა შაქარი, ხოლო ხვალ კი 100 ტონა შაქრის ფხვნილი ჩამოვა თბილისში.

ბატონმა ოთარ ლითანიშვილმა აღნიშნა ისიც, თუ როგორი გულისხმიერებითა და პატივისცემით მიიღეს ჩვენი ქალაქის წარმომადგენლები მოსკოვში. ეს იყო გულწრფელი და ჰუმანური ურთიერთობის ნათელი დემონსტრაცია, რამაც თითოეულ ჩვენგანზე დიდი შთაბეჭდილება დატოვა. დაისახა რესპუბლიკის დახმარების კონკრეტული ღონისძიებანი ენერგეტიკული რესურსების — ელექტროენერგიის, მაზუთის, საქალაქო ტრანსპორტისა და მეტროპოლიტენის სათადარიგო ნაწილებისა და სხვა პროდუქციის მოწოდების დარგში.

ასე რომ თბილისი საპატიო სტუმრების მოლოდინშია.

გია ჭელიძე.

პრესა: დამოუკიდებლობის ძნელი გზა

უკვე თვე-ნახევარი გავიდა მას შემდეგ, რაც საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა მიიღო დადგენილება მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა შესახებ, რომლის თანახმად ისინი ყველანი დამოუკიდებლად გამოცხადდა. მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, იდეოლოგიური წნეხისაგან გათავისუფლებული პრესის ორგანოები, რომლებიც წინათ სახელმწიფო ხელისუფლებას განეკუთვნებოდა, ფრიად რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. დიდი ხნის ნანატრი თავისუფლების მინიჭებამ ჟურნალ-გაზეთების რედაქციების წინაშე დააყენა არცთუ ადვილი ეკონომიკური პრობლემები, რომლებზეც ახლა უშუალოდ არის დამოკიდებული მათი ბედი, რამეთუ სახელმწიფოსაგან დამოუკიდებლობა ითვალისწინებს დოტაციაზე უარის თქმასაც, ეს კი ყველაფერზე და უწინარესად ქაღალდზე ახლანდელი საბაზრო ფასების პირობებში სავსებით შეიძლება კატასტროფად შემობრუნდეს ამა თუ იმ გამოცემისათვის.

როგორ გამოვიდეთ შექმნილი მდგომარეობიდან? რა უნდა ვიღონოთ, რომ, პრესის თავისუფლების უზრუნველყოფასთან ერთად, მხარში ამოვუდგეთ ჟურნალ-გაზეთების რედაქციებს მათ მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების გზაზე? ამის შესახებ საფუძვლიანი, გულახდილი საუბარი გაიმართა პირველ მარტს გამართულ საქართველოს პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის თენგიზ სიგუას შეხვედრაზე რესპუბლიკის მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ხელმძღვანელებთან. შეხვედრაში მონაწილეობდნენ პრემიერ-მინისტრის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი **ირაკლი სურგულაძე**, სამხედრო საბჭოს რწმუნებული პრესის საკითხებში **არჩილ გოგელია**.

შეხვედრაზე სიტყვა ეძლეოდა ყველას — რედაქტორსაც, გამომცემლობის დირექტორსაც, შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარესაც. ყოველი მათგანი გამოთქვამდა თავის თვალსაზრისს არსებითად ყველა საჭირბოროტო პრობლემაზე, რომლებიც ახლა უწინარესად პერიოდულ გამოცემათა რედაქციების მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფას ეხება. ხაზგასმით აღინიშნა, რომ პრესის თავისუფლება ჯერჯერობით არაფრით არ არის დამკვიდრებული შესაბამისი საკანონმდებლო აქტით, რომელიც უზრუნველყოფს ეკონომიკური თავისუფლების დაცვას. ისეთ პირობებში, როცა განუწყვეტლივ მატულობს ქაღალდისა და პოლიგრაფიაში საჭირო სხვა მასალების ფასები, არის მათი უმწვავესი დეფიციტი რესპუბლიკაში, უზომოდ ძნელ სიტუაციაში აღმოჩნდნენ ახლა სწორედ ის ბეჭდვითი გამოცემანი, რომლებსაც ამ ბოლო დრომდე ცენტრალიზებული წესით ამარაგებდნენ. დამოუკიდებლობის მიღებისთანავე ამ ჟურნალ-გაზეთების რედაქციები დადგნენ ფაქტის წინაშე, როცა მათ თავად უნდა იზრუნონ საკუთარ თავზე — იპოვონ სპონსორები, შეიპირონ მათი მატერიალური მხარდაჭერა. მაგრამ უნიათობის გამო თითქმის ყველა უსახსროდ დარჩა და ჯერჯერობით იძულებული არიან დახმარებისათვის კვლავ სახელმწიფოს მიმართონ. ყველა გაზეთს, და მით უმეტეს ჟურნალს როდი ძალუძს დღეს 15-16 ათასი მანეთი გადაიხადოს ტონა ქაღალდში, აუნაზღაურონ სახელმწიფო გამომცემლობა-მონოპოლისტს მკვეთრად გაზრდილი საქტამბო და სხვა ხარჯები. ამიტომაც იძულებული არიან ახლა შეამცირონ თავიანთი გამოცემების პერიოდულობა, მათი მოცულობა, ტირაჟი, რათა როგორმე გაიტანონ თავი. მაგრამ ეს ხომ არ არის მდგომარეობიდან გამოსავალი.

ამავე დროს, შეხვედრაზე გამოითქვა საკმაოდ ბევრი საქმიანი, კონსტრუქციული წინადადებანი, კერძოდ, ითქვა, რომ გამომცემლობა „სამშობლოს" ერთპიროვნულ მონოპოლიას ჟურნალ-გაზეთების ბეჭდვაზე უნდა დაუპირისპირდეს კერძო სტამბების ქსელი. საუბარი შეეხო ამ დღეებში გამოქვეყნებულ გაზეთ „ვეჩერნი ტბილისის" წინადადებასაც ამ გამომცემლობის ბაზაზე პოლიგრაფიული კონცერნის შექმნის შესახებ, რომლის თანამფლობელები თავად რედაქციები იქნებოდნენ. სხვათა შორის, ითქვა, რომ უკვე იქმნება კომპეტენტური კომისია, რომელიც დაწვრილებით შეისწავლის ამ საკითხს, ამას გარდა დაუწესებს კონტროლს გამომცემლობა „სამშობლოში" ქაღალდის ხარჯვას. ორატორებმა აღძრეს საკითხები იმის თაობაზეც, რომ საჭიროა რედაქციათა კოლექტივების მიერ თავიანთი ჟურნალ-გაზეთების ქონების პრივატიზაცია, რესპუბლიკაში საკუთარი ქაღალდის წარმოების შექმნა, ჟურნალისტთა სოციალური დაცვა, მათ მიერ პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვა.

შეხვედრის შედეგების შეჯამებისას რესპუბლიკის დროებითი მთავრობის მეთაურმა თენგიზ სიგუამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ დიალოგის დროს აღძრული მრავალი პრობლემა უნდა შეისწავლონ ამ ცოტა ხნის წინათ შექმნილ ინფორმაციის სამინისტროში. ეს უწყება მოწოდებულია კოორდინაცია გაუწიოს რედაქციებს, გამომცემლობებს, სხვა ორგანიზაციების კოლექტივების მოქმედებას, დაეხმაროს მათ არსებული ვიწრო ადგილების ლიკვიდაციაში. ამასთანავე, მან ურჩია მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ხელმძღვანელებს უფრო აქტიურად მოიზიდონ თავიანთ გამოცემათა თანადამაარსებლებად მსხვილი ასოციაციები, საწარმოები, ფირმები, შექმნან, როგორც ეს ფართოდ ინერგება მთელ მსოფლიოში, სპონსორობის ინსტიტუტი. გამოითქვა წინადადება, რომ შეიქმნას სპეციალური სახელმწიფო კომისია, რომელიც დეტალურად შეისწავლის საბაზრო ურთიერთობის ჩამოყალიბების ამ დაწყებით ეტაპზე ჟურნალ-გაზეთების ყველა პრობლემას, და შეიტანს საკითხს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის განსახილველად.

ედუარდ ედიბერიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯავარ ლომაძის ფოტო.

აქ სტრიქონების ავტორს ვინმემ, შესაძლოა, ტენდენციურობა დასწამოს, აკაოდა, „საბჭოთა" ინტელიგენციის მხოლოდ პოზიტიურ საქმიანობაზე ამახვილებს ყურადღებასო. ნეგატიურ საქმიანობად კი ინტელიგენციის აღნიშნული თაობის წარმომადგენელთ უთვლიან იმას, რომ მათს შემოქმედებაში საბჭოურ თემატიკას და პრობლემატიკას დიდი ადგილი ეთმოდა, რომ ზოტბას ასხამდნენ მარქსიზმის კლასიკოსებსა და ბელადებს, „ნათელი მომავლის" მშენებელ ქვეყანას... ეს ყოველივე დღეს უდიდეს ცოდვად იქნა მიჩნეული. ითვლება, რომ ყოველი პროსაბჭოური თხზულება თუ გამონათქვამი დასტურია მათი ავტორის მხრივ, არც მეტი, არც ნაკლები, სამშობლოს ღალატისა.

თემურ მირიანაშვილი

როგორ იბრძოლა ქართველმა ინტელიგენციამ

ᲛᲒᲕᲐᲠᲘ მსჯელობა ვითარების არსისადმი უკიდურესად ტენდენციურად მიდგომის დასტურს წარმოადგენს. ვინც ამ ლოგიკას ახვევს თავს საზოგადოებრიობას, ის შეგნებული თუ შეუგნებელი დეზინფორმატორი და ცილისმწამებელია. საბჭოურ თემებზე ბევრი წერდა, მაგრამ ყველა ანგარების ან ანტიპატრიოტული მოსაზრებით როდი სჩადიოდა ამას. ზემოთ იმიტომ დავუთმეთ დიდი ადგილი სტალინის ეპოქის მიმოხილვას, რომ თვალსაჩინო გამხდარიყო: მარქსიზმის გატაცება იყო საყოველთაო (დიახ, საყოველთაო, მთელი მსოფლიოს მასშტაბის!) დაბნევა და შეცდომა. მეოცე საუკუნის პირველ მესამედში მარქსიზმი იყო ყველაზე პოპულარული სოციალურ-ეკონომიკური მოძღვრება, რომელიც მთელ დედამიწაზე უთვალავმა ადამიანმა აიტაცა გულწრფელად — მათ შორის გენიოსებმაც კი. რა გასაკვირია, რომ ასეთ ჟამს ქართველთა შორისაც ყოფილიყვნენ შემცდარნი? აქვე აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი ინტელიგენციის არა ერთ საუკეთესო წარმომადგენელს არაფერი ან თითქმის არაფერი უთქვამს „დიად საბჭოურ სინამდვილეზე". გავიხსენოთ ნიკო ლორთქიფანიძე, ტერენტი გრანელი, ლადო ასათიანი...

ცხადია, იყვნენ ისეთი მწერლები, ხელოვანნი, მეცნიერნი, ვისაც არ სწამდა მარქსიზმი, მაგრამ თავის შემოქმედებაში მაინც საკმაოდ დიდ ადგილს უთმობდნენ ოფიციალურ წრეთაგან ნაკარნახევ თემებსა და პრობლემებს. ჩემი რწმენით, არც ამათგან შეიძლება ყველას მოღალატედ და სულგაყიდულად გამოცხადება: სტალინის შავბნელ ათწლეულებში ერთგვარი კონსპირაცია აუცილებელი იყო. რას მოიგებდა ერი, ინტელიგენცია რომ ხელისუფლებასთან აშკარა კონფრონტაციის გზას დაადგომოდა ან საბჭოური თემატიკის დემონსტრაციული იგნორირება მოეხდინა? დარწმუნებული ვარ, ვერაფერს. შედეგად მხოლოდ იმას მივიღებდით, რომ ინტელიგენციას მთლიანად გაანადგურებდნენ და იქნებაც შეუძლებელი იქნებოდა მეცნიერებისა და კულტურის იმ აღორძინებაზე, რომლის შესახებაც ზემოთ გვქონდა მსჯელობა.

წარსულით მანიპულირებას, „საბჭოთა" ინტელიგენციის განქიქების კამპანია ზ. გამსახურდიამ და მისმა თანამდგომლებმა წამოიწყეს. ეს კამპანია წარმართეს უკიდურესად ტენდენციურად, უხინდისოდ: თუ ელდარ და გიორგი შენგელაიების მამის შემოქმედებაში ხინთლით დაეძებდნენ „ბუნს", ზვიად გამსახურდიასა და ბესარიონ გუგუშვილის მამების შემოქმედებაში „ღვიერს" ვერ ამჩნევდნენ, თითქოს საყოველთაოდ არ იყოს ცნობილი, რომ პროსაბჭოურ თემებზე წერის თვალსაზრისით ქართველ მწერლებს შორის ერთ-ერთი ლიდერი კონსტანტინე გამსახურდიაა, ხოლო მეცნიერთა შორის — პაატა გუგუშვილი (ვწერ ამას არა ორი სახელოვანი ადამიანის განსაქიქებლად, — კ. გამსახურდია და პ. გუგუშვილი ღირსეულად ემსახურნენ სამშობლოს, — არამედ იმ ფაქტის აღსანიშნავად, რომ პროსაბჭოურ საკითხებზე წერა ხელს არ უშლიდა პატრიოტულ მოქმედებას. პირიქით, გარკვეული თვალსაზრისით ხელს უწყობდა კიდეც — მოღვაწეს უტოვებდა ერისათვის ფიქრისა და გარჯის ფიზიკურ შანსს). თუ სტალინის ან პოსტსტალინიზმის ეპოქის „არასახურველ" მოღვაწეს ერთ პროსაბჭოურ გამონათქვამს არ აპატიებდნენ, ზ. გამსახურდიას მობოდიშებას, მის მიერ ამერიკელი ჟურნალისტების დაბეზღებას სამოცდაათიანი წლების დამლევს — „ბრძნულ ტაქტიკურ ნაბიჯად" გვასაღებდნენ... მაგრამ მთავარი მაინც ეს არის: გამსახურდიას საპროპაგანდო მანქანა გულმოდგინედ უმალავდა ხალხს, რომ საბჭოთა პერიოდის ყველა თვალსაჩინო მწერლის, ხელოვანის, მეცნიერის შემოქმედებასა და მოღვაწეობას პატრიოტული პათოსი მსჭვალავს; სამშობლოს მსახურება იყო და არის არსებითად ყველა გამორჩეული ქართველი „საბჭოთა" შემოქმედის ძირითადი მამოძრავებელი. ინტელიგენციის დიადი გმირობისა და სიბრძნის ფასად შეუნარჩუნდა ერს სტალინის ეპოქაში სულის სიწმინდე, მეობა, პატრიოტიზმი, თავისუფლებისაკენ სწრაფვა, რაც წინაპირობა გახდა, „დიდი ბელადის" სიკვდილის შემდგომ, თანდათანობითი „დათბობის" კვალობაზე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სულ უფრო გაშლის და გაღრმავებისა.

გასაგებია, რომ ზ. გამსახურდიასა და მის მომხრეთაგან სტალინის თუ პოსტსტალინიზმის ეპოქების ინტელიგენციაზე გაცილებით მეტი ინტელიგენციის მომდევნო თაობების წარმომადგენელთ, განსაკუთრებით კი დღეს ცოცხლებსა და ხელ-ხალამათებს მოხვდათ. აკი სწორედ ესენი და არა აწ გარდასული თაობები წარმოადგენენ საქართველოს პირველი პრეზიდენტის კონკურენტებს როგორც პოლიტიკურ სფეროში, ისე პოპულარობის, ხალხისაგან აღიარების თვალსაზრისით. ამით აიხსნება ინტელიგენციის, ერის სახელოვანი შვილების ლანძღვა-თათხვისა და ლაფით მოთხვრის უპრეცედენტო (ყოველ შემთხვევაში, საქართველოს ისტორიაში უპრეცედენტო) კამპანია.

სამწუხაროდ, წინამდებარე საგაზეთო სტატიაში ვერ დავახასიათებთ ვრცლად და ყოველმხრივ ამ დიად საქმეებს. მკითხველს ძალიან ლაკონურად შევახსენებ მხოლოდ მთავარ მაგალითებს (უფრო ზუსტად, ერთ ნაწილს ყველაზე მთავარი საქმეებისას).

„დიდი ბელადი და მასწავლებელი", რომ იტყვიან, ჯერ სახლავში (უფრო სწორად, მამზოლე-

(დასასრული 20-ე გვ.).

დასასრული. დასაწყისი იხ. „საქართველოს რესპუბლიკა" № 38.

სიმონ კილაძის ფოტო.

ახლა ჯერი ჩვენზეა...

ეკონომიკას ფინანსურად გაჯანსაღება სჭირდება

რევაზ კაკულია,
ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი.

საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარებისათვის საბაზრო ურთიერთობების დამკვიდრებას სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭება. სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა ისტორიული თვალსაზრისით ერთმანეთის ტოლფასია.

ᲘᲛᲞᲔᲠᲘᲣᲚ-ტოტალიტარულმა რეჟიმმა შვიდი ათეული წლის მანძილზე საქართველოს ეკონომიკა ისეთნაირად „ჩაკეტა" და მოაქცია საკავშირო სახალხო-მეურნეობრივ კომპლექსში, რომ მის იქიდან გამოყვანას დიდი ნიჭი და ძალისხმევა დასჭირდება. ობიექტური რეალობა სახეზეა. რესპუბლიკაში არ დარჩა ერთი დარგიც კი, რომელსაც დამოუკიდებლად ფუნქციონირება შეეძლოს. ჩამოყალიბდა ეკონომიკისა და ფინანსების მკვეთრად დეფორმირებული, არაეფექტიანი სტრუქტურა, რომელმაც წარმოების სულ უფრო გაღრმავებული დეპრესიის, შეუნელებელი ინფლაციის, მატერიალური და ფინანსური რესურსების დეფიციტის პირობებში ხალხის ცხოვრების დონის მკვეთრი დაცემა გამოიწვია. საყურადღებოა, რომ 1991 წელს 1985 წელთან შედარებით საქართველოში წარმოებული ეროვნული შემოსავალი 35,7 პროცენტით შემცირდა.

თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველოს ბიუჯეტში თავს იყრის წარმოებული ეროვნული შემოსავლის დაახლოებით ნახევარი, შეიძლება ითქვას, რომ უკანასკნელი 3 წლის მანძილზე ქვეყანას დააკლდა პოტენციური შემოსავლები 4,5-5 მლრდ მანეთის ოდენობით და შესაბამისად მრავალი ეკონომიკური და სოციალური პრობლემის გადაჭრის რეალური შესაძლებლობა. ამას ისიც დაემატა, რომ ცენტრმა ჯერ კიდევ 1990 წლის დამლევიდან, განსაკუთრებით კი 1991 წლიდან საქართველოს გადმოაკისრა თითქმის 5 მლრდ მანეთის ისეთი ხარჯები, რომლებიც რესპუბლიკის ტერიტორიაზე ხორციელდება და იფარებოდა საკავშირო ბიუჯეტიდან.

საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაობის რიტმის დარღვევამ უაღრესად შეასუსტა საგადამხდელო დისციპლინა. 1992 წლის 1 იანვრისათვის რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში ბანკისა და მომწოდებლების ვადაგადაცილებულმა დავალიანებამ 5,5 მილიარდ მანეთს მიაღწია, რამაც შარშანდელ შესაბამის პერიოდს 1,6 მილიარდი მანეთით გადააჭარბა. გრძელდება ეროვნული შემოსავლის დაცემისა და ფულის მიმოქცევის დესტაბილიზაციის ტენდენცია. დღემდე არა გვაქვს შედგენილი მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტი.

როგორია სამომავლო პროგნოზი?

რესპუბლიკაში ფასებისა და ტარიფების ზრდა გამოიწვევს შემოსავლებისა და მოგების გადიდებას, მაგრამ ერთდროულად მნიშვნელოვნად გაიზრდება ხარჯებიც. ამასთან, გამორიცხული არ არის სოციალური დაძაბულობის გამწვავებაც. მოსალოდნელია გაიზარდოს მოსახლეობის ფულადი შემოსავლები, ამასთან იგი ფულს ძირითადად დახარჯავს კვების პროდუქტებზე.

ყოველივე ეს გვაფიქრიანებს, რომ ფასების სისტემის ლიბერალიზაცია შრომის ანაზღაურების შეზღუდვის გაუქმების პირობებში ფინანსებისა და ფულის მიმოქცევის შეწონასწორების საშუალებას არ მოგვცემს, პირიქით, 1992 წელს მოსალოდნელია სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებმა მიაღწიოს 17-20 მილიარდ მანეთს.

როგორ გვესახება რესპუბლიკის ეკონომიკის მძიმე ფინანსური პრობლემების გადაწყვეტის გზები? რა კონკრეტული ღონისძიებები უნდა განვახორციელოთ ეკონომიკაში საბაზრო ურთიერთობების დამკვიდრებისათვის?

კერძო საკუთრების პრიმატისა და საკუთრების ფორმათა მრავალფეროვნების პირობებში საწარმოების, სამეურნეო ორგანიზაციების, კოოპერატივების საქმიანობაში მოგების კატეგორია თავის უფლებებში უნდა მოექცეს. რა მაქვს მხედველობაში? ნებისმიერი სახელმწიფო მაშინ არის ეკონომიკურად ჯანსაღი და ძლიერი, როცა მოგება გამოდის არა მარტო პიროვნების მოქმედების შინაგანი მოტივიზაცია, არამედ როგორც წარმოებისა და გაცვლის მამოძრავებელი ფენომენი, ყველასათვის გასაგები და მომზიდველი ეკონომიკური მაჩვენებელი, ყოველგვარი სამეურნეო და კომერციული წარმოების მთავარი საზომი საშუალება და იარაღი;

მიმდინარე წელს, როგორც წესი, უარი უნდა ვთქვათ საწარმოო სფეროში არაეფექტიან ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებებზე, ეს სახსრები მივმართოთ რესპუბლიკისათვის სასიცოცხლო — სურსათის, სათბობ-ენერგეტიკული და სანედლეულო ბაზის განსამტკიცებლად. ამ გზით უნდა მივაღწიოთ ერთობლივ საზოგადოებრივ პროდუქტში მოხმარების საგნების წარმოების ხვედრითი წილის სულ ცოტა 20 პუნქტით მაინც გადიდებას.

ეკონომიკურ სფეროში მოვლენათა განვითარების ლოგიკა ობიექტურად გვაიძულებს განვახორციელოთ ფულის რეფორმა, შევქმნათ ეროვნული ფული. ამასთან თუ იგი მტკიცე არ იქნება, შეუძლებელია სამეურნეო საქმიანობის გააქტიურება, ინიციატივა, ეფექტიანი ეკონომიკური სტიმულირება. ეროვნული ფულის რეალური კურსის ფორმირება ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია მხოლოდ შინა სავალუტო ბაზრის შექმნის, რესპუბლიკაში წარმოებული საქონლის ასორტიმენტისა და რაოდენობის მნიშვნელოვანი ზრდისა და ხარისხის რადიკალურად გაუმჯობესების პირობებში (რესპუბლიკას ფულის კურსის განმტკიცებისათვის ძვირფასი ლითონების მარაგი არ გააჩნია).

რადიკალურად უნდა შეიცვალოს შრომის ანაზღაურებისადმი მიდგომა, ხელფასის გაყინვა არ შეიძლება, საგადასახადო დაბეგვრის პროგრესული განაკვეთი რეფორმის ლოგიკას — მაქსიმალური სტიმულირება საქმიან აქტივობას — ეწინააღმდეგება. არ უნდა დავუშვათ აქ ორი რამ: პირველი, მუშაკთა ხელფასის გადიდება შრომის შედეგების მოცულობის გაუდიდებლად და ხარისხის აუმაღლებლად და, მეორე, ხელფასი არ უნდა ვაქციოთ სოციალური დაცვის ინსტრუმენტად. შრომის ანაზღაურების კრიტერიუმი უნდა გახდეს მხოლოდ დახარჯული შრომის შედეგები;

მისასალმებელია დროებითი მთავრობის გადაწყვეტილება საცხოვრებელი ბინების, სავაჭრო ობიექტების, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და მსუბუქი მრეწველობის საწარმოთა განსახელმწიფოებრივობისა და საკუთრების პრივატიზაციის თაობაზე. მაგრამ ამ საქმეში დღესაც ხელის შემშლელები ბევრი გვყავს, განსაკუთრებით მართვის დარგობრივი სტრუქტურები.

დროულად უნდა განხორციელდეს აგრარული რეფორმა, რომლის მთავარი პრობლემებია — მიწათსაკუთრების, მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის, სოფლის მეურნეობის არსებულ საწარმოთა ძირეული გარდაქმნის გზით გლეხური, ფერმერული, საიჯარო, აქციონერული, კოოპერატიული და სხვა მეურნეობების ჩამოყალიბება, დაგეგმვისა და მართვის შეცვლა ეკონომიკური და საკანონმდებლო რეგულირებით.

ყველა სახის მიწაზე უნდა დაწესდეს გადასახადი, რომელსაც საფუძვლად დაედება მიწის ფასი. მიწაზე გადასახადი გადაიხდება არა მარტო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისათვის გადაცემულ მიწებზე, არამედ მას გადაიხდიან ყოფილი საბჭოთა არმიის ქვედანაყოფებიც, რომლებსაც სარგებლობისათვის გადაცემული აქვთ მიწის ნაკვეთები. ასევე გადასახადით დაიბეგრებიან საქალაქო მეურნეობები მათზე გადაცემული მიწის ნაკვეთების ფლობისათვის.

რადიკალურად უნდა შეიცვალოს მოქმედი საგადასახადო სისტემა იმის გათვალისწინებით, რომ შეიქმნას საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის მატერიალური სტიმულირების პრინციპები წარმოების მოცულობის გასადიდებლად.

ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლის მნიშვნელოვანი ფაქტორია კონვერტირებული ვალუტის შემოსულობათა გაზრდის მიზნით პროდუქციის ექსპორტის გადიდება. მით უმეტეს, რომ რესპუბლიკაში იმპორტის საერთო მოცულობა საექსპორტო მიწოდების საერთო მოცულობას 3,6-ჯერ აღემატება.

უნდა დავძლიოთ სამეურნეო საქმიანობაში საუწყებო დარგობრივი მონოპოლიზმი. დასახვეწია პროდუქციის გასატანად ლიცენზირების პრაქტიკა. იგი, ჩვენი აზრით, უნდა შევიდეს ეკონომიკის სამინისტროს ფუნქციებში. პროდუქციის უცხოეთში გატანას სათანადო უკუგება უნდა მოჰყვეს. დასახვეწია საბაჟო სისტემა. საექსპორტო საქონელზე დიდმა ბაჟებმა შეიძლება სასიცოცხლო მნიშვნელობის ფასეულობის ექსპორტის შემცირება გამოიწვიოს.

დაუყოვნებლივ უნდა მოიხსნას საბანკო სისტემების ნორმალური განვითარებისათვის ყოველგვარი ხელოვნური შეზღუდვები, რათა ბანკებს ჩვეულებრივ ფუნქციონალურ საქმიანობასთან ერთად დამატებით შეეძლოთ განახორციელონ საფონდო ოპერაციები, კომერციული დაკრედიტება, სათამასუქო და საჩეკო ბრუნვები, საკრედიტო ბარათების ოპერაციები და სხვა. აუცილებელია მოხდეს ბანკის კრედიტის სარგებლის განაკვეთის მკვეთრი გადიდება. პრაქტიკაში უნდა განხორციელდეს „ძვირი ფულის" პოლიტიკა, რომელიც გვაიძულებს, ერთი მხრივ, მკვეთრად ავამაღლოთ საკრედიტო რესურსების გამოყენების ეფექტიანობა და მეორე მხრივ, მნიშვნელოვნად შევამციროთ საკრედიტო ემისია.

კრიზისიდან გამოსვლის პირველი რიგის ამოცანაა დაკონკრეტდეს რესურსების ის მოცულობა, რომელთა რესპუბლიკაში შემოტანის საკითხი ცენტრალიზებულად უნდა გადაწყდეს. ამ მიზნით ეკონომიკის სამინისტრომ მატერიალური რესურსებისა და ფინანსთა სამინისტროსთან ერთად უნდა მოახდინოს:

ა. რესპუბლიკაში წარმოებული ძირითადი სახეობის საწარმოო და არასაწარმოო დანიშნულების პროდუქციის მოცულობის შეფასება. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სამეურნეო ბრუნვაში ჩაურთველ ზედმეტ და ზენორმატიულ მარაგებს;

ბ. ეკონომიკის შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო ასორტიმენტისა და მოცულობის პროდუქციის განსაზღვრა და ტრადიციული ეკონომიკური კავშირების ხელოვნურად გაწყვეტის პირობებში მსოფლიო ბაზარზე რესპუბლიკისათვის მაპროფილებელი პროდუქტების რეალიზაციის გზით დეფიციტის შევსების შესაძლებლობების შეფასება;

გ. მოსახმარ რესურსებზე რეალურად არსებული მოთხოვნის განსაზღვრა და მათი დაკმაყოფილების დონის (მათ შორის შემოტანილი რესურსების ხარჯზე) შეფასება.

კრიზისიდან გამოსვლის ერთ-ერთ ეფექტიან გზად გვესახება უცხოური კრედიტის გამოყენება, მაგრამ არამც და არამც არა ფართო მოხმარების საგნების და სურსათის შესაძენად, იგი უნდა გამოვიყენოთ იმ დარგებში, რომლის წარმოების ეფექტიანობის ამაღლება რესპუბლიკის სასიცოცხლო ინტერესებს შეესაბამება.

უკანასკნელ პერიოდში რესპუბლიკაში გამოიკვეთა ერთი მეტად არასასიამოვნო ტენდენცია. პრესის, რადიოს და ტელევიზიის საშუალებებით საბაზრო ეკონომიკაზე მსჯელობისას გამომსვლელთა აბსოლუტური უმრავლესობა მოითხოვს სამეურნეო საქმიანობაში დასაქმებულ მეწარმეთა ბიუჯეტის ვალდებულებებისაგან გათავისუფლებას. თითქოს საწარმოებს ყველა პირობა გააჩნიათ მატერიალური დოვლათის მასის გაზრდისათვის, მაგრამ მათ აბრკოლებს საგადასახადო პოლიტიკა. მე სულაც არ ვფიქრობ, რომ ამ დარგში ყველაფერი წესრიგშია, მაგრამ განა ცოტაა საწარმოები და ორგანიზაციები, რომლებსაც ბიუჯეტში არ შეაქვთ კუთვნილი თანხები? სახელმწიფო ბიუჯეტი ფინანსთა სამინისტროს ხელმძღვანელების საკუთრება ხომ არ არის, რომ მის ჩამოყალიბებას თავი ავარიდოთ? ამის საილუსტრაციოდ ისიც კმარა, რომ რესპუბლიკის 1700-ზე მეტი საბჭოთა მეურნეობა და კოლმეურნეობა ბიუჯეტის ჩამოყალიბებაში ფაქტობრივად არ მონაწილეობდა (სულ შეჰქონდათ 50-60 მილიონი მანეთი) მაშინ, როდესაც ამ დარგის განვითარებისათვის ბიუჯეტის საშუალო წლიური ასიგნებები 1 მილიარდ მანეთს აღემატებოდა.

დღეს სახელმწიფო ბიუჯეტის ჩამოყალიბებაში ყველამ უნდა მიიღოს მონაწილეობა, თორემ შეუძლებელი იქნება სუვერენული რესპუბლიკის განვითარებისათვის დამატებითი ხარჯების გაღება და მისი ეკონომიკის ძლიერება.

გვწამს, ქართველი ხალხი შრომასა და ენერგიას არ დაიშურებს პოლიტიკურად თავისუფალი, ეკონომიკურად დამოუკიდებელი სამშობლოს ძლიერებისათვის. დროებითი მთავრობა ყველაფერს ღონობს დემოკრატიული სტრუქტურების შესაქმნელად, ახლა ჯერი ჩვენზეა, ყველამ ის საქმე უნდა ვაკეთოთ, რისი უნარი, ცოდნა და გამოცდილებაც გვაქვს.

გაზქურა ძვირი დაგიჯდებათ

ოთარ ხუციშვილი

„თურმე რა ბედნიერად ვცხოვრობდით"... ამ სიტყვებს ახლა ყოველ ფეხის ნაბიჯზე გაიგონებთ. რას იზამ, როცა მაღაზიების დახლებზე აღარაფერი დარჩა, ადამიანებს ძალაუნებურად უკან გახედვა და ჩვენი გაუხარელი წარსულის გაიდეალება დასჩემდათ.

ვერც გაამტყუნებ. ჩვენი პროდუქცია თუ საზღვარგარეთულ სტანდარტებს თვალს ვერ უსწორებდა, ყოველ შემთხვევაში საძებარი არ გვქონდა და აგრერიგად არც უფულობა გვტანჯავდა. ხორცს, კარაქს და შაქარს რომ თავი დავანებოთ, გაზქურაც კი, ისევე როგორც სახალხო მოხმარების ბევრი სხვა საქონელი, სანატრელი გაგვიხდა.

შრომამ უნდა გადაგვარჩინოს

რა მოხდა?

იქნებ გაზქურები ისე გაიაფდა, რომ ხალხმა ერთბაშად დაიტაცა? ან იქნებ ხარისხი იმდენად გაუმჯობესდა, რომ მომხმარებელი ცდუნებას ვეღარ უძლებს და მაღაზიაში აღარაფერს აჩერებს?

— არც ერთია და არც მეორე, — მეუბნება თბილისის გაზის აპარატურის ქარხნის დირექტორი, ბატონი თედო გოგნაძე, — ვიყოთ რეალურნი, დღევანდელ იეფორულ პირობებში, როცა წარმოების რიტმი და თვით ცხოვრება ასე მოიფურტკნა, კაცი ვერც პროდუქციას გაიაფებს და ვერც ხარისხს გააუმჯობესებს.

— გასაგებია, დღეს დალხინებულად აღარავინ ცხოვრობს, მაგრამ ფასების ასეთი აგორება? თქვენი სამსანთურიანი გაზქურა, რომელიც ადრე 280 მანეთი ღირდა, როგორ ფიქრობთ, ახლა რამდენი ეღირება?

— დღესდღეობით ენერგოკრიზისის გამო გაჩერებული ვართ და არც პროდუქციას ვუშვებთ, მაგრამ რომ ავამუშავდებით, ალბათ, მისი ფასი 2300 მანეთს მიაღწევს, ტურისტული გაზქურის ღირებულება კი 92 მანეთიდან 700 მანეთამდე გაიზრდება. მე მინიმალურ ფასებს გეუბნებით, შეიძლება მოხდეს ისე, რომ მეტადაც გაძვირდეს.

—მაგრამ, ფასების ზრდას, ბოლოს და ბოლოს, რაღაც საზღვარი ხომ უნდა ჰქონდეს. როდემდე გაუძლებს ჩვენი ჯიბეგაფხეკილი მომხმარებელი ფასების საბაზრო თამაშს?

— ამაზე ჩვენც ხშირად ვფიქრობთ, გვაწუხებს მოსახლეობის ბედი, რომელიც საკვებში უკანასკნელ გროშებს ხარჯავს, მაგრამ საბაზრო ეკონომიკას თავისი ლოგიკა აქვს და ვერსად გავექცევით. ლაპარაკია ნედლეულის ფასების მერყეობაზე. თუ ამის კვალობაზე არ დავადეთ ფასი ნაწარმს, მოკლე დროში გავკოტრდებით, წარმოებაც გაგვიჩერდება, კოლექტივიც მშიერი დაგვრჩება და ვერც მომხმარებელსა და სახელმწიფოს მივცემთ რამეს.

აი, როგორი შინაარსის საუბარი გამიმართა გაზის აპარატურის საწარმოს თაკაცთან ამ დღეებში. სურათი, რომელიც მან დახატა, თითქოს არ უნდა იყოს უცხო დღევანდელი ყოფისათვის, მაგრამ მაინც მინდა დავსვა კითხვა: ზნეობრივია მათი პოზიცია სიდუხჭირეში ჩავარდნილი მოსახლეობის მიმართ? ხომ არ ცდილობენ გაზაპარატელები ამ უკანასკნელთა ხარჯზე აკეთონ ბიზნესი?

ამაზე რომ პასუხი გამეცა, ჩავიხედე ქარხნის ფინანსურ-ეკონომიკურ საქმეებში და რა აღმოჩნდა? თურმე იმდენი პრობლემა და სატკივარი აწუხებს საწარმოს, რომ გარედან მაცქერალ კაცს არცკი დაესიზმრება.

დავიწყოთ ენერგეტიკული კრიზისით, რომელიც ახლა ქრონიკულ ავადმყოფობად ექცა ყველა ჩვენს საწარმოს. თუ ვიანგარიშებთ, რომ ქარხანა ყოველთვიურად 3 მილიონამდე მანეთის პროდუქციას უშვებს, ვერც იმას გავექცევით, რომ შარშანდელი 20 დეკემბრიდან დღემდე აქ 6 მილიონი მანეთი დაკარგეს. კიდევ რამდენი დაიკარგება. მარტში, ჯერჯერობით არავინ უწყის.

მარტო ეს ზარალი რომ იყოს, რაც ენერგოდეფიციტმა გამოიწვია, კიდევ რა უჭირს! არც მისი შედეგია უმნიშვნელო. თვეობით გამორთულ ღუმელს შემდეგ ორი კვირა მაინც სჭირდება, რომ სამუშაო რეჟიმში ჩადგეს. მერედა არ იკითხავთ რამდენს წვავს დღე-ღამეში თითოეული ღუმელი ამ პერიოდში? დაახლოებით 24 ათას კილოვატსაათ ენერგიას, პროდუქციას კი არაფერს იძლევა. აი, საზღვარგარეთ კი მცირეენერგიიანი ანალოგიური ღუმელები მხოლოდ ერთ საათს ანდომებენ რეჟიმში ჩავარდნას. მოდი და იმათ გაეჯიბრე.

ესეც არ იყოს, ზედმეტი ენერგოხარჯები ჰაერში კი არ ორთქლდება, პროდუქციის თვითღირებულებაში ილექება და ფასების ზრდით ისევ მოსახლეობას აწვება ტვირთად. საერთოდ, რადგან სიტყვა ღუმელებზე ჩამოვარდა, უნდა ვთქვა, რომ აქაური ტექნიკა საუკუნით ჩამორჩება საზღვარგარეთულს. მისი 50 პროცენტი მოძველებულია და შეცვლას საჭიროებს.

და მაინც დღეს საწარმოსათვის ყველაზე მთავარი პრობლემა ნედლეულით უზრუნველყოფა გახლავთ. თებერვალი იწურება, ქარხანა კი დღემდე არ არის გარანტირებული, რომ მასა და რუსეთის კონცერნ „გაზპრომს" შორის დადებული ხელშეკრულება ლეგიტიმურია და მასალების მოწოდებას წინ არაფერი დაუდგება. საქმე ის გახლავთ, რომ საქართველოსა და რუსეთს შორის სამთავრობო დონეზე ჯერაც არ გაფორმებულა ეკონომიკური ხელშეკრულება, რაც საეჭვოს ხდის დასახელებული კონტრაქტის რეალობას. ასეთ პირობებში, როცა არ მომხდარა მთავრობის მიერ მასალების ლიცენზირება, კონცერნს შე[...]ია სხვადასხვა მიზეზთა [...]შველიებით საწარმოს უარი უთხრას ფერადი და შავი ლითონის მოწოდებაზე და გარდაუვალი კრახის წინაშე დააყენოს.

რა უნდა იღონოს ამ შემთხვევაში ქარხანამ? თუ უნდა, რომ არსებობა შეინარჩუნოს და რვაასკაციანი კოლექტივი უსაქმოდ არ დარჩეს, საზღვარგარეთის ქვეყნებში ნედლეული ვალუტით უნდა შეიძინოს. მაგრამ თუ არც თვითონ და არც რესპუბლიკის ბიუჯეტს ამისი თავი არა აქვს? მაშინ საწარმო უნდა დაეთანხმდეს „გაზპრომს" ნედლეულის მოწოდების სანაცვლოდ თავისი პროდუქციის 50 პროცენტი დაუთმოს. დათანხმდეს კი არა, მეტსაც მისცემს, ოღონდ პარტნიორმა არ უღალატოს.

რას იზამ, რუსეთმა ამჯერადაც გაგვასწრო, ფასები აუშვა და თავის გავლენის ორბიტაში მოგვაქცია. გაზის აპარატურის ქარხნის მაგალითიდან ადვილი მისახვედრია, „უფროსი მეზობლის" პოლიტიკა რა დღეში ჩააგდებს ჩვენი საწარმოების ისედაც გაბერწებულ ეკონომიკას.

ფაქტებით ვილაპარაკოთ. შარშან ქარხანა რუსეთიდან ერთ ტონა გაძვირებულ ლითონს 900 მანეთად ყიდულობდა, წლეულს კი წინასწარი შეთანხმებით ეს ფასი 10-14 ათას მანეთამდე ავარდა. ასეთივე ფასი დაედო მილებსაც. რაც შეეხება ფერადი ლითონის ნაგლინს, რასაც აქ არცთუ ცოტას ხმარობენ, ტონის ფასი 40-დან 60 ათას მანეთამდე გაიზარდა.

გასაჭირი აქ არ მთავრდება, შეიძლება ითქვას, აქედან იწყება. ქარხანამ, რომელიც სამი თვე გაჩერებული იყო, ასეთი ცეცხლმოკიდებული ფასებით ნაყიდ ნედლეულში მომწოდებელს ხარჯი რით უნდა გადაუხადოს? ცხადია, კრედიტი უნდა აიღოს, მაგრამ საიდან — რესპუბლიკის ბიუჯეტს განა ამის თავი აქვს? რომ მისცენ კიდეც, სანამ ქარხანა პროდუქციას გამოუშვებს და მის რეალიზაციას მოახდენს, ვადაგადაცილებულ სესხს იმდენი ჯარიმები მოჰყვება, რომ საწარმოს კუდზე ტყავს გააძრობს.

ისევ და ისევ დგება პრობლემა: რით ამოსწიონ ეკონომიკა? უნდათ თუ არ უნდათ, ფასებს უნდა მიადგნენ, კიდევ ერთხელ გადახედონ საბაზრო მაზანდას და გაზარდონ. ეს მეთოდი დღეს ერთობ „ეფექტიანია" და მას ყველა ხელაღებით მიმართავს. წინა წლებში თუ საწარმოს 24 მილიონი მანეთის შემოსავალი ჰქონდა, ახალი ფასებით ეს ციფრი 200-250 მილიონამდე გაიზრდება. ძველთან შედარებით ეს მართლაც ზღაპრული თანხაა, მაგრამ დაავადებული და კონკურენტუნარიანობას მოკლებული, რომლითაც დღევანდელ ბაზარზე ვერაფერს გახდები.

ეს გასაგებია, მაგრამ სხვა გზა თუ არა აქვს, როგორ მოიქცეს? დღეს მის პროდუქციაზე დეფიციტია და მონოპოლისტს ხელს აძლევს ფასები დაუსრულებლად ზარდოს. მაგრამ რა იქნება ხვალ და ზეგ, ამაზეც ხომ უნდა იფიქროს? ბოლოს და ბოლოს დადგება დრო, როცა კონკურენტი გამოჩნდება და მის გაძვირებულ პროდუქციას აღარავინ იყიდის. მხოლოდ ჯანსაღ კონკურენციას შეუძლია გააჯეროს ბაზარი საქონლით, ფხიანი, გამჭრიახი მეწარმე გაახალისოს, ხოლო ზარმაცი და ხელთუპყარი ჩამოიცილოს. მალე ამ „სახადს" ვეღარავინ გაექცევა და მის შესახვედრად საწარმოს კოლექტივმა აქედანვე უნდა იფიქროს.

მანამდე კი, ალბათ, საწარმოსთვის ხელსაყრელი იქნება საზღვარგარეთის რომელიმე ფირმასთან გახსნას ერთობლივი წარმოება, რაც პროდუქციას ტექნოლოგიურადაც გადაახალისებს და ვალუტის შემოტანის შანსსაც გაუჩენს. ამის გაკეთება დიდ სირთულეებთან არ იქნება დაკავშირებული, მით უფრო, რომ ქარხანას აქვს 1400 კვადრატული მეტრი ფართობის მქონე თავისუფალი კორპუსი, ჰყავს საკმაო მუშახელი. ნებისმიერი ფირმა (ვთქვათ თურქეთის), რომელიც აქ ტექნიკას შემოიტანს, მოკლე დროში დანახარჯსაც აინაზღაურებს და მოგებასაც წაიღებს.

თუმცა ქარხნის კოლექტივს არც ახლა უწევს ცალუღლად მუშაობა. საწარმო გაერთიანებულია კონცერნ „ყოფმანქანათმშენმრეწველში", მაგრამ საეჭვოა, რომ იქიდან სარფიან საქმეს გამოკრას ხელი. მაშ რატომ შევიდა ისეთ კონცერნში, რომელშიც სარგებელს ვერ ნახავსო, იკითხავს მკითხველი. საქმეც ის გახლავთ, რომ თავისი სურვილით არ შესულა. როგორც ჩანს, მის მაგივრად „ზემოთ", მრეწველობის სამინისტროში იფიქრეს და საქმეც „კაზიონურად" გადაწყვიტეს. კონცერნში გააერთიანეს რესპუბლიკის კვებისა და საყოფაცხოვრებო პროფილის საწარმოები, რომლებსაც გაზის აპარატურის ქარხანასთან არ აკავშირებთ არც კოოპერაცია, არც პროდუქციის ერთგვაროვნება და არც პროფესიონალიზმი. იქ კი, სადაც არ არის ერთიანი ინტერესები, განა შეიძლება იყოს ერთიანი მიღწევები?

მიღწევებზე რა მოგახსენოთ, ზედმეტი ტვირთი კი ნამდვილად მოჰკიდა კონცერნმა საწარმოს. აბა ვიანგარიშოთ: ქარხნის მოგებიდან 35 პროცენტი რესპუბლიკურ ბიუჯეტს მიაქვს, 7 პროცენტი — კონცერნ „გაზპრომს", 8 პროცენტი — კონცერნ „ყოფმანქანათმშენმრეწვს". ეს უკვე მთელი მოგების ნახევარს შეადგენს. მაგრამ აქვს კი იმის თავი, ნახევარი მოგება სხვებს უწილადოს და საკუთარი ხალხიც გამოკვებოს? ამჟამად საწარმოში მუშაკის საშუალო თვიური გამომუშავება 560 მანეთს არ აღემატება. ახლო მომავალში თუ ეს თანხა არ გაორმაგდა, ეს იმას ნიშნავს, რომ ხვალ და ზეგ ქარხანაში აღარავინ დარჩება.

და კიდევ, ბევრი საწარმო ალბათ ასეთ დღეში არ ჩავარდებოდა პრივატიზაცია დროულად რომ დაგვეწყო და ცხოვრებაში საბაზრო ურთიერთობის ნორმები დაგვემკვიდრებინა. რამდენი არ უკიჟინეს ყოფილ ხელისუფლებას, მაგრამ ამ საქმეზე ხელი ვერა და ვერ დააბანინეს. ამან, ზოგს რომ არაფრად მიაჩნია, მთელი თავით დაგვწია უკან. ახლა, ბუნებრივია, უნდა ვიჩქაროთ მაგრამ არც ისე, რომ საქმე წავახდინოთ.

ამ მხრივ ბევრი პრობლემა ექნება გაზის აპარატურის ქარხანასაც მიუხედავად იმისა, რომ იგი ორი წელია იჯარის პროგრესული მეთოდით მუშაობს. ერთი ცხადია, საწარმოს ძირითად ფონდებზე აღარ არსებობს საკავშირო სამინისტროს პრეტენზია და შესაძლებელია იგი მთლიანად კოლექტივის კუთვნილებაში გადავიდეს. მაგრამ როგორ და რა გზებით, ეს ჯერ კიდევ ნათლად არა აქვთ წარმოდგენილი. ისინი კი ვარაუდობენ, შექმნან სააქციო საზოგადოება, გამოუშვან პრივილეგირებული აქციები, რომელთაც დამსახურებისა და გაწეული ღვაწლის კვალობაზე კოლექტივის წევრები შეიძენენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორ იბრძოლა ქართველმა ინტელიგენციამ

(დასასრული)

უმში) არ გაციებულიყო, როცა ოთარ ჩხეიძემ სერიოზულად, ღრმად გააკრიტიკა „ყველაზე პროგრესული სახელმწიფო წყობა". და თუმცა ო. ჩხეიძის ის თხზულებები, სრულიად გასაგები მიზეზის გამო, ხელოვნურად გართულებული, რიგითი მკითხველისათვის ძნელად ალსაქმელი ენითაა დაწერილი, ფაქტი მაინც ფაქტად რჩება: ეს არის პირველი კრიტიკა საბჭოთა სისტემისა, გამოქვეყნებული კავშირში.

ორმოცდაათიანი წლების შუა ხანებიდან ასპარეზზე გამოდის მწერალთა და ხელოვანთა ახალი თაობა, რომელმაც გაფეტიშებული ანტისტალინური პროპაგანდის — სტალინის განტევების ვაცად გადაქცევის გზით ტირანიის შენარჩუნების მცდელობის პირობებში თავის დევიზად აქცია სრული აპოლიტიზმი. ამ შემოქმედებმა, ჯერ კიდევ ახალგაზრდებმა იმხანად, მოახდინეს უოველგვარი ოფიციალური დოგმის დემონსტრაციული იგნორირება. ისინი ქმნიდნენ ლიტერატურას, ხელოვნებას, ყველა პუნქტში დიამეტრულად განსხვავებულს იმისგან, რასაც ხელისუფლება მოითხოვდა. კოლექტივიზმის, ფსევდოპეროიზმისა და ფსევდოალმშენებლობის ჟამს ახალგაზრდა ქართველმა შემოქმედებმა მთელი ყურადღება მიმართეს ინდივიდუუმისაკენ, ინტერესის საგნად აქციეს ადამიანის შინაგანი სამყარო, ინტიმი. ხელისუფლების მოწოდების პასუხად — შეექმნათ (განსაკუთრებით ახალგაზრდებს) ენთუზიაზმით, ოპტიმიზმით გამსჭვალული, მოჩვენებითად გმირულ-ომახიანი ნაწარმოებები, ჩვენი ახალგაზრდა შემოქმედნი ორმოცდაათიანი წლების მეორე და სამოციანი წლების პირველ ნახევარში ქმნიდნენ ლირიზმითა და ულრმესი სევდით გამსჭვალულ ლექსებს, ნოველებს, ტილოებს, ფილმებს...

სამოციანი წლების მეორე ნახევარში გურამ ფანჯიკიძემ გამოაქვეყნა რომანები, რომლებშიც არსებული სინამდვილე სრულიად შეუნილბავად არის გაკრიტიკებული. ესეც პირველი ფაქტია საბჭოთა ისტორიაში. სხვა რესპუბლიკებს შეუნილბავად კრიტიცისტული ნაწარმოებების გამოქვეყნებამდე ორათწლოვანი გზა ჰქონდათ გასავლელი. ჩვენში კი საბჭოური სინამდვილის კრიტიკა ლამის ლიტერატურისა და ხელოვნების წამყვანი მოტივი გახდა სამოციანი წლების მიწურულიდან. თუმცა ზოგიერთი მწერალი „არსებული სისტემის სრულყოფის" მოთხოვნას იშველიებდა ფარად.

სამოცდაათიანი წლებიდან ბოლშევიკურ ტირანიაზე, ჩვენი ეროვნული ტრაგედიის არსზე ფიქრი ახალ, თვისობრივად უფრო მაღალ საფეხურზე ადის. ოთარ ჭილაძის სამ რომანში გააზრებულია ერის მიერ ორნახევარი ათასწლეულის მანძილზე გამოვლილი გზა, რუსეთის მიერ საქართველოს შთანთქმის გარემოებანი და ჯოჯოხეთური შედეგები შთანთქმისა. ეს ჯოჯოხეთი გააცოცხლა ეკრანზე თენგიზ აბულაძემაც („ნატვრის ხე", „მონანიება"). ელდარ შენგელაიამ უჩვენა ერის დაუოკებელი სწრაფვა ამაღლებისაკენ და, რაც მთავარია, ძალა, ნიჭი ამაღლებისა („შერეკილები") და ამავე ერის აბსურდულ-უსასოო ყოფა („ცისფერი მთები..."). რობერტ სტურუამ საბოლოო განაჩენი გამოუტანა ყვარყვარიზმს („ყვარყვარე"). მის მიერ შექმნილი სპექტაკლი თითქმის ორი ათწლეულის შემდეგაც კი დაგვეხმარა ურაპატრიოტულ დემაგოგიას ამოფარებულ უზურპატორთან ბრძოლაში. სამოცდაათიანი წლების პირველ ნახევარში რ. სტურუამ დადგა „ღალატი" — კიდევ ერთი დიდებული სპექტაკლი, ამსახველი ჩვენი ეროვნული ტრაგედიისა. მერაბ ბერძენიშვილმა აღმართა მონუმენტური ქანდაკებები, რომლებშიც ქართველმა კაცმა იხილა როგორი იყვნენ მისი წინაპრები და როგორი შეიძლება იყვნენ მისი შთამომავალნი. მ. ბერძენიშვილის ქანდაკებები ხალხმა აღიქვა როგორც პაროლი ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის გადამწყვეტი ეტაპის მოახლოებისა. სამოცდაათიანი წლებისა და ოთხმოციანთა პირველი ნახევრის არა ერთი პოეტი უკვე სრულიად აშკარად ეზოპეს ენის მოუშველიებლად ამბობს სიმართლეს, დაუფარავად მოუწოდებს ბრძოლისაკენ...

აი, ამ „საბჭოთა" ინტელიგენციას დაუწყეს ლაფში ამოსვრა ზ. გამსახურდიამ და მის ირგვლივ შემოკრებილმა შემთხვევითმა, ოდიოზურმა ადამიანებმა. თანაც რა არგუმენტები მოჰყავთ ინტელიგენციის საწინააღმდეგო კამპანიაში! დუმდაო „საბჭოთა" ინტელიგენცია, ჩვენ კი მედგრად ვიბრძოდითო. იმაზე, თუ როგორ „დუმდა" ქართველი ინტელიგენცია, უკვე ვიმსჯელეთ. თუმცა, სამწუხაროდ, ძალიან მოკლედ და ზოგადად. უახლოეს მომავალში იმაზეც უნდა ითქვას სრული სიმართლე, თუ როგორ „მედგრად იბრძოდა" ზ. გამსახურდია...

ეხლა შევეხოთ ჩვენი ინტელიგენციის კიდევ ერთი ნაწილის — „აპარატჩიკების" საქმიანობას ბოლშევიკთა მბრძანებლობის ჟამს.

„აპარატჩიკებს" — ყოფილ პარტიულ და საბჭოთა ფუნქციონერებს, საპოლიციო ორგანოთა ხელმძღვანელებს დღეს მხოლოდ აკრიტიკებენ და ლანძღავენ. ჩემი აზრით, ეს დიდი შეცდომა და უსამართლობაა — საბჭოური ნომენკლატურის ყველა ყოფილი ფუნქციონერის ერთ ტაფაზე მოქცევა სრულიად დაუშვებელია, რადგან, ზემოთაც ვთქვი და კვლავ ვიმეორებ, ადამიანთა ამ კატეგორიაშიც იყვნენ ჭეშმარიტი მამულიშვილები. ყველა, ვინც დღეს ამტკიცებს, რომ თვით ფაქტი საბჭოურ ნომენკლატურასა თუ საპოლიციო სამსახურში შესვლისა, მოღალატეობის, ამორალიზმის დასტურია, არის ან პოლიტიკურად სრულიად შეუგნებელი პიროვნება, ან შეგნებული დემაგოგი.

ჩემი ღრმა რწმენით საქართველო, შესაძლოა, ვერც კი გადარჩენილიყო, ჩვენ რომ საბჭოური იერარქიის ყველა საფეხურზე არ გვყოლოდა ღირსეული, ერის გულშემატკივარი ადამიანები.

შეცდომა ის იყო, თანაც დანაშაულის ტოლფასი შეცდომა, ოციან წლებში ჩვენმა ინტელიგენციამ ამაყი ზიზღით რომ შეაქცია ზურგი საბჭოურ ნომენკლატურას. ამის შედეგი იყო, რომ ნომენკლატურა შეავსეს სერგო ორჯონიკიძის ყაიდის პირებმა.

ომისშემდგომ პერიოდში კრემლმა ტოტალური შეტევა წამოიწყო „ნაცმენების" წინააღმდეგ, რისი მიზანიც იყო არარუსი ერების ეთნიკურ ნიშანთა სრულად წარხოცვა და „საბჭოთა ხალხის" ჩამოყალიბება. ამ ჯოჯოხეთურმა კამპანიამ საქართველოში შედარებით მსუბუქად ჩაიარა, რაც ქართველ „აპარატჩიკთა" დამსახურებაა. კრემლი ორი ძირითადი მიმართულებით უტევდა. პირველი მიმართულება გულისხმობდა არარუს ერთა ეთნოკულტურის სრულ განადგურებას; ყოველნაირად ავიწროებდნენ, დევნიდნენ, სპობდნენ ეროვნულ ენებს, სკოლებს, ლიტერატურას, ხელოვნებას, მეცნიერებას (განსაკუთრებით ჰუმანიტარულ დისციპლინებს), ზღუდავდნენ პრესას... ცხადია, ამ კამპანიის მსახვრალი ხელი საქართველოსაც შეეხო, მაგრამ თითქმის ყველა სხვა რესპუბლიკაზე გაცილებით ნაკლებად. ჩვენთვის, ქართველებისათვის დაუჯერებელიც კი ჩანს, რომ უკრაინის კინოსტუდიებში არც ერთი მხატვრული ფილმი არ ხმოვანდებოდა უკრაინულ ენაზე, ხოლო უკრაინული თეატრები ორმოცდაათმილიონიან რესპუბლიკაში ხელის თითებზე ჩამოითვლებოდა; ბელორუსიაში არ იყო საერთოდ არც ერთი ბელორუსული სკოლა. ამ ათმილიონიან რესპუბლიკაში 1958 წლიდან არ დაარსებულა არც ერთი ბეჭდვითი სიტყვის ორგანო ბელორუსულ ენაზე, ხოლო ერთადერთი (!) სალიტერატურო ჟურნალის მოცულობა ამავე პერიოდში სამჯერ შემცირდა; აზერბაიჯანის ქალაქებში ბავშვთა ოთხმოც პროცენტზე მეტი რუსულ სკოლებში სწავლობდა; შუა აზიაში გააერთიანეს რუსული და ეროვნული ჟურნალ-გაზეთების რედაქციები (რედაქტორებად, ცხადია, რუსები დანიშნეს). მსგავსი ფაქტების მოყვანა ამ სტრიქონების ავტორს უსასრულოდ შეუძლია. ეს ფაქტები მეტყველებენ, რომ ქართული ეთნოკულტურის მდგომარეობა შეუდარებლად უკეთესი იყო, ვიდრე სხვა ერთა ეთნოკულტურებისა (ცხადია, რუსულის გარდა). უკანასკნელ ხანს ცენტრალურ პრესაში იყო რამდენიმე პუბლიკაცია, რომლებშიც თვით ბალტიისპირელი ავტორები აღიარებდნენ, რომ ომისშემდგომ ათწლეულებში ქართველებმა ყველაზე უკეთ შეძლეს თავიანთი ენის, სკოლის, კულტურის მოვლა-განვითარება. დიახ, ჩვენი შურდათ თვით ბალტიისპირელებს, რომელთაც ახცდათ ოციან-ოცდაათიანი წლების კოშმარი, მნიშვნელოვანწილად ასცდათ ტოტალური მობილიზაციით გამოწვეული ტრაგიკული შედეგებიც.

მეორე მიმართულება კრემლის შეტევისა არარუს ხალხებზე გულისხმობდა უკანასკნელთა ტერიტორიების კოლონიზებას რუსი მიგრანტების მიერ. ამ პოლიტიკას განსაკუთრებით გულმოდგინედ იმ რესპუბლიკებში ახორციელებდნენ, რომელთა მკვიდრი ერები უძალიანდებოდნენ რუსიფიკაციას, არ თმობდნენ უბრძოლველად თავიანთ ეროვნულ მეობას. (საგულისხმოა, მაგალითად, რომ ბალტიისპირეთის პატარა რესპუბლიკებში სულ რაღაც ათიოდე წლის მანძილზე, სამოცდაათიანი წლების შუა ხანებიდან, დაახლოებით ორი მილიონი რუსი შეიყვანეს). და რადგან საქართველო უაღრესად მედგრად ეწინააღმდეგებოდა კრემლის ასიმილატორულ პოლიტიკას, ჩვენ არა მხოლოდ აგვცდა ძირძველი ქართული მიწების კოლონიზაცია, არამედ საქართველო არის ერთადერთი რესპუბლიკა, რომელშიც რუსულენოვანი მოსახლეობის რიცხვმა სამოცდაათიან-ოთხმოციან წლებში იკლო კიდეც.

ყოველივე ამას იმის წყალობით მივაღწიეთ, რომ საბჭოურ სტრუქტურებში პატრიოტი ფუნქციონერებიც გვყავდა. კრემლს საქართველოში რამდენიმე ადგილას (გარე კახეთში, გურიაში, სამეგრელოში...) ეწადა რუსული კოლონიების შექმნა, მაგრამ თბილისელი მოხელეები, თუმცა კი ძალიან ბევრს ლაპარაკობდნენ საბჭოურ ინტერნაციონალიზმზე, აჭიანურებდნენ საქმის გაჭიანურებას და საბოლოოდ ჩაშალეს კიდეც ეს წამოწყება. ბალტიისპირელებს ამ თვალსაზრისით არ გაუმართლდათ. დღეს ესტონეთში რუსულენოვანნი ორმოც პროცენტს სჭარბობენ, ხოლო ლატვიაში მოსახლეობის თითქმის ნახევარს შეადგენენ. ეს მოხდა იმიტომ, რომ ამ რესპუბლიკების მრავალწლოვან პარტიულ თავკაცებს — ესტონელ კარლ ვაინოსა და ლატვიელ ბორის პუგოს არამცთუ არაფერი გაუკეთებიათ თავიანთი სამშობლოსათვის ეთნოტრაგედიის ასაცილებლად, არამედ მოთხოვნას მოთხოვნაზე გზავნიდნენ მოსკოვში, დიდძალი მუშახელი გვჭირდებაო. ეს დოკუმენტები ამოულაგა კრემლმა ესტონეთისა და ლატვიის პატრიოტულ ძალებს და იქით დაამუნათა, თქვენს გამო მრავალი რუსული სოფელი დაგვიცარიელდაო.

ბოლო ხანს ბევრი ითქვა ქართული მიწების არაქართველთა მიერ მიტაცებაზე. ითქვა წრფელი გულისტკივილით, მაგრამ იყო აშკარა დემაგოგიაც. ობივატელს უქმნიდნენ შთაბეჭდილებას, რომ ქართველმა ფუნქციონერებმა სრულად გაყიდეს და გაანიავეს ჩვენი ტერიტორიები. სინამდვილეში გასაბჭოების შემდეგ საქართველოში არ გაზრდილა უცხო ტომელთა ხვედრითი წილი (ოციანი წლების დამდეგსაც დაახლოებით 80 პროცენტი იყო და ოთხმოციანი წლების დამლევისათვისაც ამდენივე დარჩა). საქართველოში თვით „ინდუსტრიული გიგანტები" (ქუთაისი, რუსთავი) ძირითადად ქართველებით დასახლდა, თუმცა სხვა რესპუბლიკებში ანალოგიური მშენებლობები რუსი მოსახლეობის მასობრივად შეყვანის საბაბი ხდებოდა.

განსაკუთრებით დიდია ჩვენი „აპარატჩიკების" (ცხადია, მათს პატრიოტულად განწყობილ ნაწილს ვგულისხმობ) დამსახურება ქართული თეატრის, კინემატოგრაფის, მონუმენტური სკულპტურის აღმავლობის საქმეში. მწერლებს, ბოლოს და ბოლოს, „უჯრისთვისაც" შეუძლიათ წერა, იმის იმედით, რომ მომავალი თაობები წაიკითხავენ მათს თხზულებებს. თეატრი, კინო, მონუმენტური ქანდაკება კი უბრალოდ არ გვექნებოდა „აპარატჩიკების" პატრიოტული ღვაწლი რომ არა. დავფიქრდეთ, განა გაუჭირდებოდათ წინა ათწლეულებში საქართველოს ხელმძღვანელებს უბრალოდ არ მიეცათ მუშაობის საშუალება ჩვენი შესანიშნავი რეჟისორებისა და მოქანდაკეებისათვის? ამაზეც დავფიქრდეთ, განა ადვილი იქნებოდა იგივე ფუნქციონერებისათვის თავის მართლება მოსკოველი შეფების წინაშე იმის გამო, რომ ჩვენმა რეჟისორებმა და მსახიობებმა მსოფლიოს დაანახვეს ქართველი ერის ტრაგედია და სწრაფვა თავისუფლებისაკენ; ხოლო ქართველი მოქანდაკენი დგამდნენ გრანდიოზულ კომპოზიციებს სამშობლოს ბედზე მწუხარე ან ხმალმოღერებულ ქართველთა ფიგურებით?..

კიდევ მხოლოდ ერთ მაგალითს შევახსენებთ იმათ, თუ როგორ იბრძოდა „აპარატჩიკთა" პროგრესული ნაწილი. 1978 წლის მარტში გამოქვეყნდა საქართველოს სსრ-ის ახალი კონსტიტუციის პროექტი. საზოგადოებრიობა სრული განურჩევლობით შეხვდა ამ ფაქტს. უბრალოდ ვერც კი შევნიშნეთ ქართული ენის სახელმწიფო სტატუსის განმსაზღვრელი მუხლის ამოღება პროექტიდან. ვერ შევნიშნეთ, რადგან ამ ხასიათის დოკუმენტებს მაშინ თითქმის არავინ კითხულობდა. გავიდა რამდენიმე დღე, კვირა პროექტის გამოქვეყნებიდან — საზოგადოებრიობა კი დუმდა. მაგრამ „ხელმძღვანელმა ამხანაგებმა" დაიწყეს ქართული მეცნიერებისა და კულტურის თვალსაჩინო წარმომადგენელთა, განსაკუთრებით ენათმეცნიერების გამოძახება ცეკაში. მათ მოუწოდებდნენ „უმნიშვნელოვანესი დოკუმენტის" ღრმად შესწავლა-ათვისებისაკენ, ენობრივად და სტილისტურად დახვეწისაკენ... მოწოდებები მანამდე არ შეწყდა, ვიდრე ჩვენმა მეცნიერებმა თავში არ შემოირტყეს ხელი.

ასე რომ „აპარატჩიკებიც" (მათი მნიშვნელოვანი ნაწილი) ემსახურებოდა ერს, თუმცა სრულად იცავდა კონსპირაციის წესებს. განა მტკიცება უნდა სჭირდებოდეს იმას, რომ ყველაზე დიდი გმირობა უჩუმრად ჩადენილი გმირობაა?

ჩემს ოპონენტებს შეუძლიათ დაასახელონ მრავალი ნამდვილად მოღალატე და გადაგვარებული „აპარატჩიკი". მაგრამ თუ გულზე ხელს დაიდებენ, იმის აღიარებაც მოუხდებათ, რომ ეროვნულ მოძრაობაშიც არანაკლებნი აღმოჩნდნენ ამგვარნი. მიუხედავად ამისა, ეროვნულ მოძრაობაზე მისი საუკეთესო წარმომადგენლებით ვმსჯელობთ. მაშასადამე, სხვა პოლიტიკურ ძალებსა და საზოგადოებრივ ფენებზეც ანალოგიურად უნდა ვიმსჯელოთ. ტენდენციურად არც ერთი პოლიტიკური ძალის ღვაწლი არ უნდა შეფასდეს. საზოგადოებრივი პროცესების ობიექტური ანალიზი კი გვარწმუნებს, რომ ჩვენს ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში ყველაზე დიდი წვლილი მიუძღვით არა უკანასკნელ ხანს, პერესტროიკის დაწყების შემდეგ პოლიტიკურ აქციათა ჩატარების გაიოლებისა და გაუსაფრთხოების კვალობაზე სოკოებივით მომრავლებულ პარტიებსა და მათ ფუნქციონერებს, არამედ ქართველი „საბჭოთა" შემოქმედებითი ინტელიგენციის ელიტას — ჩვენს საუკეთესო მწერლებს, ხელოვანთ, მეცნიერებს, აგრეთვე „საბჭოთა" თანამდებობის პირთა მნიშვნელოვან ნაწილს.

* * *

ინტელიგენტობა ხელწამოსაკრავ სიტყვად იქცა მაშინ, როცა ყოველი განათლებული პიროვნება ეროვნული მოძრაობის თანამგრძნობი და თანამდგომი იყო, მაგრამ... ჭეშმარიტად ეროვნული საქმის გულშემატკივარნი და შემოქმედნი ერის მოღალატეებად შერაცხა, საუბედუროდ, პირველმა ეროვნულმა მთავრობამ.

დღეს პოეტმა ისევ მოჰკიდა ხელი თავის იარაღს — კალამს.

ბადრი მამასახლისის ფოტო.

სურათებზე: „ტანკით შეიარაღებული" ია ორჯონიკიძე; მუსიკოსმა თავისი ინსტრუმენტი აიღერა — ლიანა ისაკაძე; ისევ ამღერდა მომღერალი — ზურა კიკაბიძე; ისევ ხადლისო და საქვეყნო საქმეებზე ბჭობენ ჩვენი სასიქადულო ხელოვანნი, რომელთაც მავანი და მავანი უმწიფარი კრიჭაში ედგა მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ხალხს უყვარდა! აბა ვინ არ იცნობს ბატონ რეზო ჩხეიძეს, რობერტ სტურუას, თენგიზ აბულაძეს, ქალბატონ ეთერ გუგუშვილს.

აჰა რომ, საყოველთაო სიყვარულის აღმოფხვრა არც ისე იოლი საქმე ყოფილა!

ამ ტრიალ ქვეყანაზე

დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარეს

ბახრეინმა და თურქმენეთმა დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარეს საელჩოთა დონეზე. სპარსეთის ყურის ქვეყნების საინფორმაციო სააგენტოთა მიერ გავრცელებულ ბახრეინის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში აღნიშნულია, რომ ორი სახელმწიფოს მთავრობებმა ეს გადაწყვეტილება მიიღეს მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებისა და ორივე ქვეყნის სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის ურთიერთპატივისცემის საფუძველზე სხვადასხვა დარგში ორმხრივი თანამშრომლობის განვითარების ინტერესებისათვის.

ომი ჩვენ გვერდით

რაც დრო გადის ყარაბაღის საკითხი ჩვეულებრივი რეგიონალური კონფლიქტის რანგიდან ომისაში გადადის და საერთაშორისო მნიშვნელობის პრობლემა ხდება. „კანადის რადიოს" სამხედრო მიმომხილველი იუწყებოდა, რომ ყარაბაღში სომხეთა ორათასიანი კორპუსი იბრძვის, კიდევ ათი ათასამდე ჯარისკაცი სომხეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზეა და რეზერვის როლს ასრულებს. იმავე მიმომხილველის ცნობით აზერბაიჯანელთა სამხედრო შენაერთი 17 ათას კაცს აღემატება, თუმცა ისინი ჯერ ჩამოყალიბების სტადიაში იმყოფებიან. საქმეში ჩაერთო მძიმე სამხედრო ტექნიკა, ავიაცია. დაღუპულთა რიცხვმა უკვე ათასს გადააჭარბა. ლონდონის გაზეთი „გარდიანი" დღეს მთიან ყარაბაღში საომარ მოქმედებას უწოდებს „ყველაზე დაძაბულს სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის კონფლიქტის ოთხი წლის მანძილზე". ამ დღეებში აზერბაიჯანმა ხელში ჩაიგდო „გრადისა" და „ურაგანის" ტიპის სარაკეტო დანადგარები, რომელთა მეოხებით ყარაბაღის დედაქალაქი ხანკენდი (სტეფანაკერტი) თითქმის განადგურებულია. თავის მხრივ სომხეთა შენაერთებმა აიღეს აზერბაიჯანელებით დასახ- [illegible] თანამეგობრობის მე-4 არმიის 26-ე დივიზიის 366-ე მოტომსროლელი პოლკი, რომელშიც 50-მდე სომეხი ოფიცერი მსახურობს, მონაწილეობას იღებდა ჰოჯალის აღებაში. სომეხთა სამხედრო ვერტმფრენავები დაბომბვით ემუქრებიან აზერბაიჯანის მე-2 ქალაქ განჯის კომუნიკაციებს.

შეერთებული შტატების საგარეო-პოლიტიკური უწყების ოფიციალურმა წარმომადგენელმა რიჩარდ ბაუჩერმა დიდი შეშფოთება გამოთქვა ყარაბაღის კრიზისის გამო. საფრანგეთის ტელევიზიის მე-5 პროგრამის წამყვანმა აღნიშნა, რომ ირანის, თურქეთისა და საფრანგეთის ცდებს — მიაღწიონ ყარაბაღში ცეცხლის შეწყვეტას — არსებითი შედეგები არ მოჰყოლია.

შუა კავკასიაში მიმდინარე ომი უწინარეს ყოვლისა მის მონაწილე მხარეებსა და მეზობელ სახელმწიფოებს: ირანს, თურქეთს, საქართველოსა და რუსეთს ეხება.

ირანის საგარეო საქმეთა მინისტრი ალი აქბარ ველაიეთის შუამდგომლობით სომხეთისა და აზერბაიჯანის წარმომადგენლები შეხვდნენ ერთმანეთს. ველაიეთი განჯაშიც კი ჩავიდა, მაგრამ ამაოდ. თეირანის რადიოს მიერ გამოცხადებული ბრძოლების ჯერ 25-საათიანი, შემდეგ 3-დღიანი შეწყვეტა ვერ მოხერხდა. ისევე, როგორც ყველა აღრინდელი ცდა, ესეც მარცხით დასრულდა. როგორც ჩანს ყარაბაღის პრობლემის ძალისმიერი მეთოდით გადაჭრის მომხრეების უპირატესობა უეჭველია. როგორც სომხებს, ისე აზერბაიჯანელებს საერთაშორისო მხარდაჭერაც აქვთ. სომხებს მრავალრიცხოვანი დიასპორის, აზერბაიჯანელებს კი მეზობელი მუსლიმანური ქვეყნების სახით, მართალია, ირანში მრავალი მილიონი აზერბაიჯანელი ცხოვრობს, მაგრამ შიიტური აზერბაიჯანი კულტურულად და ენობრივად სუნიტურ თურქეთს ენათესავება. აზერბაიჯანის პრეზიდენტს, აიაზ მუთალიბოვს არაერთგზის განუცხადებია, რომ აზერბაიჯანისათვის ყველაზე მისაღებია ევროპული ორიენტაციის თურქეთის რესპუბლიკის მოდელი. თავის მხრივ ცნობილმა სომეხმა ლიტერატორმა ზორი ბალაიანმა ფრანგული გაზეთის „კოტიდიენ დე პარისათვის" მიცემულ ინტერვიუში განმარტა ირანის სამუშავლო ღონისძიებანი და გამოთქვა აზრი, რომ ველაიეთის ცდებს წარმატების მეტი შანსი აქვს, ვიდრე თურქეთის წინადადებებს. მისი თქმით „სომხებისათვის ისტორიული მიზეზებით უფრო ახლოს არის ირანი, ვიდრე თურქეთი".

თურქეთის შეიარაღებულმა ძალებმა ყარსის რაიონში სამხედრო მანევრები დაიწყეს. ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა სულეიმან დემირელმა სომხებს მოუწოდა შეწყვიტონ იერიშები ყარაბაღის მუსლიმანების წინააღმდეგ, ხოლო ანკარაში, როგორც როიტერის სააგენტო იუწყება, 600-მდე ადამიანმა დემონსტრაცია მოაწყო აზერბაიჯანის დასაცავად.

როგორც ირანი, ისე თურქეთი იბრძვის იმისათვის, რომ თავისი გავლენა დაამკვიდროს ამიერკავკასიაში და შუა აზიაში, ამ მიზნით ირანმა უკვე დახარჯა ნახევარი მილიონი დოლარი. გავლენის დასამყარებლად კი აზერბაიჯანი ერთ-ერთი მთავარი რგოლია.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ იმპერიის მთავარ მემკვიდრედ რუსეთი დარჩა. რუსეთის პარლამენტში კი აზრთა სხვაობაა თუ როგორი პოზიცია დაიკავონ ყარაბაღის პრობლემის მიმართ. ეროვნული ურთიერთობების დარგში პრეზიდენტ ელცინის მრჩევლის გალინა სტაროვოიტოვას აზრით, რუსეთმა კავკასიაში თავისი გავლენა რომ არ დაკარგოს, საჭიროა სომხეთის მხარე დაიჭიროს და ხელი შეუწყოს ყარაბაღის სომხეთისათვის გადაცემას. იმავე აზრს იზიარებს აკადემიკოს სახაროვის ქვრივი ელენე ბონერი და სხვა პიროვნებები. ზოგიერთი რუსი ექსპერტი კი სხვაგვარად ფიქრობს. მათი აზრით, საჭიროა რუსეთის ჯარები, მათ შორის 366-ე მოტომსროლელი პოლკი აზერბაიჯანიდან გამოვიდეს და პრობლემის გადაჭრა მეომარ მხარეებს მიანდონ. თანამეგობრობის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალს მარშალ ევგენი შაპოშნიკოვს მიაჩნია, რომ საჭიროა შეიქმნას თანამეგობრობის სპეციალური სამხედრო შენაერთი, რომელიც გაეროს ჯარების მსგავსად იმოქმედებს.

სომხეთის მაღალი თანამდებობის პირებს, მათ შორის პრეზიდენტ ლევონ ტერ-პეტროსიანს არაერთგზის განუცხადებია, რომ ყარაბაღში საჭიროა გაეროს ჯარების გაგზავნა. ამ საკითხში აზერბაიჯანის პოზიცია ბოლომდე გარკვეული არ არის, გარკვეულად იგი წინააღმდეგია ყარაბაღის კრიზისის „ინტერნაციონალიზაციისა", რასაც რესპუბლიკის საშინაო საქმეებში ჩარევად მიიჩნევს. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ბაქოს გაეროს ჯარების ყარაბაღში შეყვანის წინააღმდეგ გადაჭრით არ გაულაშქრებია. აზერბაიჯანის ოფიციალური თანხმობის გარეშე კი გაეროს ჯარების ყარაბაღში გაგზავნა შეუძლებელია. ამას გარდა თვით გაეროსაც არ აქვს ამჟამად ამის საშუალება. იგი თავისი 14 ათასიანი სამხედრო კონტინგენტის ხორვატიაში გაგზავნას აპირებს, მისი ექსპერტები კი თავს იტეხავენ, სად იშოვონ ამისათვის საჭირო 600 მილიონი დოლარი.

მთიან ყარაბაღში მიმდინარე ომი, შეიძლება ითქვას, საქართველოს გვერდით მიმდინარე ომია. თავის დროზე საქართველოს ხელისუფლებამ მეომარ მხარეებს პრობლემების დასაძლევად შუამავლობა შესთავაზა. ამჟამად კი საქართველოში მიმდინარე რთულმა პოლიტიკურ-ეკონომიკურმა ვითარებამ თბილისის გავლენა ყარაბაღის კრიზისის დასაძლევად ნულამდე დაიყვანა. უფრო მეტიც: ყარაბაღის ომში საქართველო დიდი ხნის განმავლობაში გვერდზე ვერ დარჩება, რადგან გეოგრაფიული მდებარეობის გამო სომხეთი საჭიროებს საქართველოს სატრანზიტო გზებს. სომხეთში შიმშილი და ენერგეტიკული კრიზისია, განსაკუთრებით საქართველოს მოსაზღვრე რაიონებში. აქ მომუშავე კოოპერატივებს საქართველოს გზებზე შექმნილი აუტანელი ვითარების გამო საშუალება არ აქვთ ადრე დადებული ბარტერული გაცვლები განახორციელონ რუსეთში. რკინიგზის ბლოკირებაც მძიმე მდგომარეობაში აგდებს ერევანს. იქმნება ისეთი ვითარება, როგორიც 1918 წელს შეიქმნა...

თუ საქართველოს მაგისტრალებზე წესრიგი არ დამყარდება, ბოლშევიკების მიერ ინსპირირებული ისტორია, შესაძლოა, კვლავ განმეორდეს. ამის საშიშროება ნამდვილად არსებობს.

გურამ სიხარულიძე,
„საქართველოს რესპუბლიკის" პოლიტიკური მიმომხილველი.

უძრავი ქონების ბირჟა

უტა

ჯერ კიდევ გაქვთ დრო გახდეთ, აქციონერი, ბროკერი, დილერი!

ბირჟის აქციების ფასი ყოველდღიურად იზრდება!

100 000 მან. ღირებულების სახელობითი აქციის ფასი დღეს 500 000 მანეთია, 10 000 მან. წილობრივი სახელობითი აქციისა კი — 50 000 მან.

განსაზღვრული რაოდენობით გაიზარდა საბროკერო ადგილების რიცხვი. ერთი ადგილის ფასმა დღეისათვის 400 000 მანეთს მიაღწია.

თქვენ საშუალება გეძლევათ გახსნათ საბროკერო ფირმები, რომლებიც ორგანიზაციებსა და ცალკეულ პირებს გაუწევენ საშუამავლო მომსახურებას უძრავი ქონების, საშენი მასალების ყიდვა-გაყიდვის საქმეში. ბროკერების მეშვეობით დაინტერესებულ ორგანიზაციებს შეუძლიათ იყიდონ ან გაყიდონ დაპროექტებისა და მშენებლობის უფლება.

ბირჟის აქციონერებს ეძლევათ საბროკერო ფირმების გახსნის პრიორიტეტული უფლება.

წლის ბოლოს ბირჟა გასცემს დივიდენდებს არა ნაკლებ 25 პროცენტისა. გაითვალისწინეთ, რომ უძრავი ქონების ღირებულება გამუდმებით იზრდება!

უძრავი ქონების ბირჟის მისამართია: 380008, თბილისი, იოანე პეტრიწის 27 (ყოფილი ძნელაძის ქუჩა) ტელ. 29-48-56, 98-92-79, 98-92-78, ფაქსი — 29-48-56.

UTA

EXCHANGE OF REAL ESTATE

სარეკლამო სააგენტო „მი-მი-ნო".

ახალი ამბები

გვწერენ „საქართველოს რესპუბლიკის“ სპეციალური კორესპონდენტები

მოვლენა ● ფაქტი ● კომენტარი

ამ არეულ დროში, რა გასაკვირია, სპორტისთვის ადგილი თითქმის არ რჩება, თუმცა სპორტული ცხოვრება, ავად თუ კარგად გრძელდება. საერთო ვითარების სტაბილიზაციის კვალობაზე, სპორტი „იატაკქვეშეთიდან“ კვლავ სამზეოზე გამოვა და პოლიტიკით დაღლილი ხალხი, სპორტის პოტენციური გულშემატკივარი, ეჭვი არ არის, მიტინგებიდან სტადიონისკენ იბრუნებს პირს. ამ პროცესს, სხვასთან ერთად, უთუოდ დააჩქარებს ქართული სპორტის საერთაშორისო აღიარება, რისი მოწმენიც შეიძლება ახლო მომავალში გავხდეთ. ყოველ შემთხვევაში, ასე ფიქრობს საქართველოს რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის მინისტრი კახი ასათიანი, რომელსაც ჩვენი რედაქციის თხოვნით ინტერვიუ ჩამოართვა საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტმა ელგუჯა ბერიშვილმა.

● ბატონო კახი, მაინც, რას ემყარება თქვენი ოპტიმიზმი?

— რეალურ ვითარებას. საქმე იქითკენ მიდის, რომ ქართული სპორტის აღიარებას არა მგონია წინ რაიმე დაუდგეს. ცდა დიდხანს არ მოგვიწევს. ამ დღეებში, მარტის პირველ რიცხვებში, ლოზანაში საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სხდომა უნდა გაიმართოს. იმედი გვაქვს, რომ ჩვენი დელეგაცია შვეიცარიიდან ხელცარიელი არ დაბრუნდება.

● თქვენ ვარაუდობთ, რომ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის სოკ-ში გაწევრიანების საკითხი უკვე ამ სხდომაზე შეიძლება გადაწყდეს?

— არ მინდა მოვლენებს გავასწრო, მაგრამ ერთის თქმის საფუძველი ნამდვილად მაქვს: სოკ-ის მომავალი სხდომა ქართული სპორტისთვის წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება. მართალია, სოკ-ის პრეზიდენტმა ხუან ანტონიო სამარანჩმა განაცხადა, 1993 წლამდე ახალი წევრების მიღებას არ ვაპირებთო, მაგრამ მას შემდეგ ვითარება არსებითად შეიცვალა და საერთაშორისო სპორტული სამყარო ვალდებულია ამას ანგარიში გაუწიოს. ერთიც არის: 1992 წელი, მოგეხსენებათ, ოლიმპიადის წელიწადია და სოკ-ი, ბუნებრივია, დამატებით ორგანიზაციულ სირთულეებს მოერიდება. მთავარ დაბრკოლებას სწორედ ამაში ვხედავ. მოკლედ, უახლოეს დღეებში გაირკვევა, რა სტატუსით გამოვლენ ბარსელონაში საქართველოს ოლიმპიელები. თუ ცალკე გუნდით დაგვიშვეს, ვვარაუდობთ, რომ ჩვენს დელეგაციაში 25-30 სპორტსმენი მაინც იქნება — ვისაც მედლის მოპოვების მეტ-ნაკლები შანსი აქვს.

● თუ ამდენი მაღალი კლასის სპორტსმენი შემოგვრჩა, საქმე არც ისე ცუდად გვქონია...

— გაუთავებელი ქიშპობა და ქაოსი რომ არა, ქართული სპორტის (და არა მარტო სპორტის) ბევრი პრობლემა აქამდეც მოგვარდებოდა. როცა ქუჩაში ტყვიას ისვრიან და ირგვლივ ამდენი საფიქრალ-საზრუნავია, სპორტი ვიღას ახსოვს. გარდამავალი პერიოდის სიძნელეებმა, ცხადია, დიდად შეგვაფერხა. არაერთმა ცნობილმა თუ პერსპექტიულმა სპორტსმენმა გული აიცრუა, საქმეს ჩამოცილდა მწვრთნელთა და სპორტის მუშაკთა ერთი ნაწილიც, ამას დაემატა მატერიალურ-ფინანსური, ორგანიზაციული და სხვა პრობლემები, თუმცა, ექსტრემალური პირობების მიუხედავად, ასე ვთქვათ, სპორტის მატარებელი ერთ ადგილზე არ მდგარა... ბოლო ერთი წლის მანძილზე სპორტისა და ტურიზმის სფეროში მნიშვნელოვანი სტრუქტურული ცვლილებები მოხდა, არაერთი სიახლე დაინერგა.

● კონკრეტულად რას გულისხმობთ?

— საქართველოს რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის დეპარტამენტის, უცხოეთის ტურიზმის გაერთიანების, საქტურსაბჭოსა და ახალგაზრდული ტურიზმის გაერთიანება „სპუტნიკის“ ბაზაზე შეიქმნა სპორტისა და ტურიზმის სამინისტრო, ყალიბდება ქალაქებისა და რაიონების სპორტისა და ტურიზმის სამსახური, რეგიონალური სამმართველოები. არსებითად შეიცვალა სპორტის ცალკეულ სახეობათა მართვის ფორმები; შარშან, მაის-ივნისში მოეწყო სპორტის სახეობათა ფედერაციების დამფუძნებელი ყრილობები, შეიქმნა 32 დამოუკიდებელი ფედერაცია, რომლებიც ავტონომიურად, საკუთარი წესდების შესაბამისად მუშაობენ. სპორტსმენთა და მწვრთნელთა სოციალური ინტერესების გათვალისწინებით დაინერგა კონტრაქტული სისტემა, რესპუბლიკის 600-მდე სპორტსმენს დაენიშნა ხელფასი და სტიპენდია. მალე ამოქმედდება დებულება პროფესიონალთა და მოყვარულთა სპორტული კლუბების შესახებ; სასწავლო პროცესის სრულყოფისა და სპორტული მეცნიერების განვითარების მიზნით მთავრობაში განსახილველად შევიტანეთ საკითხი ოლიმპიური რეზერვების სკოლების, ფიზიკური კულტურის ტექნიკუმის, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისა და ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის ბაზაზე საქართველოს სპორტისა და ტურიზმის აკადემიის შექმნის თაობაზე. გადავდივართ სწავლების ერთიან ციკლზე, რაც დიდი ხანია აპრობირებულია საზღვარგარეთის ქვეყნებში. მათთან, სხვათა შორის, მჭიდრო კონტაქტები გვაქვს. ფიზკულტურის ინსტიტუტი, როგორც მატერიალური, ასევე კადრების თვალსაზრისით, საკმაოდ მომძლავრდა, ბოლო ორი წლის მანძილზე აქ საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია დაიცვა 30-ზე მეტმა პედაგოგმა, თანამედროვე ტექნიკით აღიჭურვა კაბინეტ-ლაბორატორიები. მომავალი სასწავლო წლიდან ამოქმედდება ახალი კომპლექსი, გლდანისა და ხობის ოლიმპიური რეზერვის სასწავლებლები გადაკეთდება გიმნაზიებად, ტექნიკუმი — სპორტულ კოლეჯად, უმაღლესი სტრუქტურული რგოლი კი — აკადემია იქნება.

● თქვენ წელან ბრძანეთ. სპორტული ფედერაციები ავტონომიურად მუშაობენო. მინდა გითხრათ, რომ სპორტის მუშაკთა ერთი ნაწილი არ იზიარებს თქვენს ამ მოსაზრებას. რაკი ფედერაციებს უშუალოდ სპორტისა და ტურიზმის სამინისტრო აფინანსებს, თქვენ უკვე მაკონტროლებელი ორგანოს ფუნქციას კისრულობთ, რაც არ გამორიცხავს დიქტატს, ზემოდან ჩარევას. თითოეული ფედერაცია ანგარიშვალდებულია

საქმე იქითკენ მიდის

სამინისტროს წინაშე და ესეც დამატებითი ფაქტორია მართვის ბიუროკრატიული მექანიზმის ასამუშავებლად. ამას გარდა, სამინისტროს ხელმძღვანელთა მეცადინეობით, ფედერაციებს, მეტწილად, სათავეში ჩაუდგნენ შემთხვევითი, ოღონდ მაღალი სახელმწიფო თანამდებობის პირები, რომელთა უმრავლესობა, ცნობილ მიზეზთა გამო, დღეისათვის გადაყენებულია. ისინი ძალაუნებურად, ფედერაციებისთვისაც „უცხო სხეულებად“ იქცნენ...

— ვერ დავიჩემებ, ფედერაციების ჩამოყალიბების პროცესმა უხარვეზოდ ჩაიარა-მეთქი. ცალკეული შეცდომები უთუოდ იყო, მაგრამ, ჩემი აზრით, საერთოდ სწორ გეზს დავადექით, რასაც საფუძვლად დაედო საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილება. სამინისტროსა და ფედერაციებს შორის დაახლოებით იდენტური ურთიერთობებია საფრანგეთში, გერმანიაში, იტალიაში. ჩვენ გერმანულ სისტემაზე შევჩერდით. ეს არის ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობა და არა დიქტატი,

● უახლოეს დღეებში გაირკვევა, რა სტატუსით გამოვლენ ბარსელონაში საქართველოს ოლიმპიელები.
● ჩვენ გერმანულ სისტემაზე შევჩერდით. ეს არის ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობა და არა დიქტატი.

კოორდინაცია და არა მონოპოლია. სპორტის სამინისტრო, ცხადია ხელიდან ვერ გაუშვებს სპორტის განვითარების სადავეებს, რადგან საბოლოო შედეგებისთვის ძირითადი პასუხისმგებლობა მას აკისრია... რაც შეეხება ზოგიერთი ფედერაციის პრეზიდენტად თანამდებობის პირთა არჩევას, ჩვენ შეგნებულად გადავდგით ეს ნაბიჯი, რადგან ორგანიზაციული და მატერიალურ-ფინანსური პრობლემების გადაჭრის სხვა გზა არ ჩანდა. სხვათა შორის, სწორედ საერთო ძალისხმევით მოხერხდა ჩვენი სპორტისთვის საარსებო მნიშვნელობის საქმეთა თავმობმა, თუმცა გასაკეთებელიც ბევრი დაგვრჩა. ჩვენი სტრატეგიული ამოცანაა საერთაშორისო სპორტულ ორგანიზაციებში გაწევრიანება. ზოგიერთი ფედერაციის მესვეურთა მოუქნელობის ან ობიექტურ მიზეზთა გამო, პროცესი ჭიანურდება, თუმცა, რომ იტყვიან, ყინული დაიძრა. უკვე აღიარებულ სამბოს, მკლავჭიდის, აღმოსავლური ორთაბრძოლების, ნარდის ფედერაციებს, ვფიქრობთ, ახლო მომავალში კიდევ რამდენიმე შეემატება. შარშან სამინისტროს, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტისა და სპორტული ფედერაციების ერთობლივი წერილები გავუგზავნეთ შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციებს. იქიდან უკვე მოდის დამაიმედებული პასუხები. მაგალითად, ჭადრაკის, კრივის, ველოსპორტის, ფრენბურთის ფედერაციებიდან მოითხოვეს გასაწევრიანებლად საჭირო დოკუმენტები; ამ დღეებში საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში ციურიხიდან გამოგზავნილი წერილიდან ჩანს, რომ ფიფაც იცვლის პოზიციას ჩვენს მიმართ. **(ბატონი კახი გულისხმობს ცნობას საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისთვის სანქციების მოხსნის თაობაზე. ამის შემდეგ, როგორც ცნობილია, ციურიხიდან ახალი სასიხარულო ამბავი მოვიდა: ფიფამ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას დროებითი წევრის სტატუსი მიანიჭა. ამას გარდა, ურბიმ აღიარა საქართველოს რაგბის კავშირი — ე. ბ.).**

● სამინისტრო და ფეხბურთის ფედერაცია. როგორი ურთიერთდამოკიდებულებაა თქვენს შორის?

— ნორმალური. ჩვენ არ ვერევით ფედერაციის შინაურ საქმეებში, ვეხმარებით პრობლემათა მოგვარებაში.

● ფეხბურთის ფედერაცია, თუ არ ვცდები, ერთადერთია, რომელიც საკუთარი სახსრებით არსებობს. ამასთან, როგორც დამოუკიდებელი ორგანიზაცია, ყველაზე ადრე — ორი წლის წინ დაფუძნდა და ყრილობაზე მიღებული წესდებით მოქმედებს. თქვენ ბრძანეთ, მის შინაურ საქმეებში არ ვერევითო. საწინააღმდეგოს მტკიცებას არ ვაპირებ, მაგრამ მინდა შეგახსენოთ სამინისტროს კომისიის შარშანდელი დასკვნა, რომელშიც გაკრიტიკებულია ეროვნული ჩემპიონატის არსებული სისტემა, რომელიც არ გაიზიარა ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმმა. დასკვნაში, სხვათა შორის, ნათქვამია, რომ აუცილებელია სამთავრობო დადგენილება ქართულ ფეხბურთში შექმნილი მდგომარეობის გამოსასწორებლად...

— სამინისტრო, ცხადია, უფლებას იტოვებს შეაფასოს ფედერაციის საქმიანობა, გამოთქვას თავისი აზრი, მიაწოდოს შენიშვნები და წინადადებანი. ეს არ არის დიქტატი, ეს ჩვენი მოვალეობაა. საკამათო არ უნდა იყოს, რომ ქართულ ფეხბურთში ყველაფერი რიგზე ვერ არის, და ეს თვალნათლივ გამოჩნდა ეროვნული ჩემპიონატის ფონზე. თუ ჩვენს სტადიონებზე წესრიგის დამყარება ვერ მოხერხდა, თუ ჩხუბი და აყალმაყალი ვერ აღვკვეთეთ, საერთაშორისო ორგანიზაციებთან ჩვენი ურთიერთობა გართულდება. სამინისტრო სისხლხორცეულად დაინტერესებულია, რომ ქართულ ფეხბურთში ვითარება მკვეთრად გამოკეთდეს. ცხადია, ფედერაციის საზრუნავიც ეს არის... პირადად მე, მაგალითად, ნაჩქარევად მეჩვენება ზოგიერთი კონტრაქტი, რომელიც ჩვენმა ფეხბურთელებმა უცხოეთის კლუბებთან გააფორმეს. როცა ამგვარ გადაწყვეტილებას ვიღებთ, მეტი წინდახედულება გვმართებს. ეს შენიშვნა მარტო ფეხბურთს არ ეხება. სამინისტროს კოლეგიამ, ფედერაციების წარმომადგენელთა მონაწილეობით, შეიმუშავა საზღვარგარეთ სპორტსმენებისა და მწვრთნელების უცხოეთის სპორტულ და საქმიან წრეებთან კონტრაქტის გაფორმების წესები, რომელიც სავალდებულოა ყველასათვის.

● დღეისათვის საქართველოს რამდენი სპორტსმენი გამოდის უცხოეთის კლუბებში?

— ზუსტ ციფრს ვერ დაგისახელებთ. აღრიცხვა ვერ ხერხდება სწორედ იმის გამო, რომ ზოგი უნებართვოდ „გაგვეპარა“. როცა ოფიციალურ საერთაშორისო შეჯიბრებებში დამოუკიდებლად დაგვიშვებენ, ცხადია, „ემიგრანტებს“ გამოვიხმობთ — იმათ, ვინც საქართველოს ნაკრებს გამოადგება. სხვათა შორის, ყოფილი ცენტრის წინააღმდეგობის მიუხედავად, შარშან თითქმის არც ერთი მნიშვნელოვანი არაოფიციალური ტურნირი არ გამოგვიტოვებია — საქართველოს 600-ზე მეტმა სპორტსმენმა იასპარეზა საზღვარგარეთ. განსაკუთრებულ წარმატებას მიაღწიეს ჩვენმა სამბისტებმა და მკლავჭიდელებმა.

● ახლა თუ იგრძნობა ყოფილი ცენტრის გავლენა?

— არა, ცენტრალური სპორტული სტრუქტურები თითქმის მთლიანად დაიშალა, აწი ხელს ვერ შეგვიშლიან.

● საერთაშორისო სპორტული ფედერაციები, ადრე თუ გვიან, გვაღიარებენ, დაგვიშვებენ ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე, მაგრამ იმის საშიშროებას ხომ არ ხედავთ, რომ იმ დროისთვის არ გვეყოლება მაღალი კლასის სპორტსმენები და გუნდები, არ გვექნება სახსრები სპორტული დელეგაციების დასაფინანსებლად...

— ყველასთვის ცნობილ მიზეზთა გამო, ვიმეორებ, ქართულმა სპორტმა საგრძნობლად იზარალა და ამის ანაზღაურებას, ბუნებრივია, გარკვეული დრო დასჭირდება. ვცდილობთ პროცესი დავაჩქაროთ და მზად შევხვდეთ ახალ სიტუაციას. შეუძლებელი არაფერია. მით უმეტეს, ჩვენს სპორტის პოტენციას თუ გავითვალისწინებთ. სპორტსმენს ასპარეზი უნდა, და როცა გზა გაიხსნება, დარწმუნებული ვარ, ჩემპიონებიც გამოჩნდებიან, სტადიონებიც გაივსება ხალხით. რაც შეეხება ფინანსებს, მართალია, ჯერჯერობით ხელგაშლილად ვერა ვართ, მაგრამ ხვალ-ზეგ ამასაც მოევლება. სამინისტრო, ცხადია, მარტო ბიუჯეტის იმედად ვერ იქნება, თანაც ასეთი ეკონომიკური კრიზისის პირობებში. უკვე გადავდგით კონკრეტული ნაბიჯები კომერციულ და საგარეო ეკონომიკურ სფეროში. ხელმოწერილია „მერსედეს-ბენცთან“ თანამშრომლობის ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც თბილისში უნდა გაიხსნას ფირმის მსუბუქი ავტომანქანების სარეალიზაციო მაღაზია და ავტოტექმომსახურების ცენტრი. საამისოდ გამოიყო ადგილი, მიმდინარეობს სამშენებლო სამუშაოები. ამ გარიგებამ, წინასწარი გაანგარიშებით, სამინისტროს ხაზინას მილიონამდე გერმანული მარკა უნდა შემატოს... ჩვენი ინიციატივით, საქართველოს ტრანსპორტის სამინისტროს, სპორტისა და ტურიზმის სამინისტროს და გერმანულ ფირმას შორის დაიდო შეთანხმება ახალი საჰაერო ხაზის (თბილისი-სტამბოლი-ფრანკფურტი) გახსნის თაობაზე. პირველი რეისები, ალბათ, მარტის მიწურულს მოეწყობა. პერსპექტივაში, თვეში ოცამდე რეისი შესრულდება, ჩვენი ტურისტებისთვის დაწესდება შეღავათიანი ფასები. ეს შეთანხმება უაღრესად მნიშვნელოვანია მრავალი თვალსაზრისით. მოგებამ წელიწადში შეიძლება 15 მილიონამდე მარკა შეადგინოს (ხუთ პროცენტს სპორტისა და ტურიზმის სამინისტრო მიიღებს)... მზადდება სხვა პერსპექტიული ხელშეკრულებებიც.

● ბატონო კახი, დამეთანხმებით, საერთაშორისო ტურიზმი არა მარტო სამინისტროს, არამედ მთელი რესპუბლიკის ეკონომიკური ძლიერების წყაროდ უნდა იქცეს. ამ საქმეს დიდი ხანია სტრატეგიული მნიშვნელობა მიენიჭა, მაგრამ ხელშესახები შედეგები არა ჩანს...

— შარშანდელი მონაცემებით თუ ვიმსჯელებთ, კატასტროფული მდგომარეობაა — მთელი წლის მანძილზე მხოლოდ 294 ათასი ტურისტი ჩამოვიდა საქართველოში (შედარებისთვის: 1986 წელს მილიონნახევარ ტურისტს ვუმასპინძლეთ). ფაქტობრივად, დაუსაქმებელი იყო ტურიზმის სამსახური, სამინისტრომ სულ 11,7 მილიონი მანეთი მოგება მიიღო. პოლიტიკური სიტუაციის სტაბილიზაციის კვალობაზე, ვიმედოვნებთ, ტურისტთა ნაკადი გაიზრდება და ამისთვის სამზადისი აქედანვე გვმართებს. მუშავდება ტურიზმის განვითარების კონცეფცია, რომელსაც განსახილველად წარვუდგენთ მთავრობას. სამინისტროში თვითდაფინანსების პრინციპზე შეიქმნა ორი ტურისტული სამმართველო, აგრეთვე კომერციულ-ტურისტული ფირმა. შევისწავლეთ ტურისტული სასტუმროებისა და საწარმოების ტექნიკური მდგომარეობა. სასტუმროები მეტწილად კეთილმოუწყობელია, ვერ პასუხობს თანამედროვე სტანდარტებს და რადგან სამინისტროს ფინანსურად უჭირს, გვინდა სააქციო პრინციპით ამ საქმეში ჩავრთოთ ადგილობრივი და უცხოური ფირმები, ტურისტული კომპანიები, ტურისტთა გაცვლის თაობაზე საზღვარგარეთის, ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ტურისტულ ორგანიზაციებთან ვმართავთ ინტენსიურ მოლაპარაკებებს, უკვე დავდეთ ურთიერთხელსაყრელი ხელშეკრულებები თურქეთისა და პოლონეთის ფირმებთან, სანკტ-პეტერბურგის, ვლადივოსტოკის, რიგის, კაუნასის, მოსკოვის და სხვა ქალაქების პარტნიორებთან. რესპუბლიკის მოქალაქეთა საზღვარგარეთ გასვლის მოწესრიგების, მომსახურების გაუმჯობესების მიზნით ვღებულობთ კონკრეტულ ზომებს.

● ბოლოს, ერთხაც გკითხავთ. თქვენ სისტემატურად მონაწილეობდით მთავრობის სხდომებში, უზენაესი საბჭოს სესიებში. რამდენადაც ვიცი, იქ მიღებულ ზოგიერთ გადაწყვეტილებას პრინციპულად არ ეთანხმებოდით, მაგრამ პროტესტი საჯაროდ არ გამოგითქვამთ...

— პოლიტიკა ჩემი საქმე არ არის, თუმცა მთელ რიგ საკითხებზე, ბუნებრივია, მქონდა და მაქვს საკუთარი აზრი.

● მთავრობა შეიცვალა, გადააყენეს მინისტრები. თქვენ პოსტი შეინარჩუნეთ...

— ჩვეულებრივ განვაგრძობ მუშაობას. უამრავი საქმე გვაქვს და თუ ურთიერთგაგება იქნება, ალბათ, გვეშველება.

P. S. საქართველოს დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში სოკ-ის ხელმძღვანელებთან ერთად კახი ასათიანიც იქნება, ორიოდ დღეში გაემგზავრება მოსკოვს, იქიდან — ლოზანაში. გუშინ შევიტყვეთ, რომ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტიდან სხვადასხვა დოკუმენტებთან ერთად საქართველოს რესპუბლიკის ჰიმნის ჩანაწერიც მოუთხოვიათ... მოვლენებს ნუ გავასწრებთ, მაგრამ ეს კარგი ნიშანია.

ეს ჩვენი საქართველოა!

ორი ქართველი.



სიმონ ქილაძის ფოტო (ფოტოსააგენტო „დრო“).

გაზაფხულის სუნთქვა

ნიკოლოზ ბერაძე,
საქართველოს ჰიდრომეტცენტრის უფროსი

გაზაფხულის პირველი თვე — მარტი ერთგვარი გარდამავალი პერიოდია, ზამთრიდან გაზაფხულზე გადასვლისას. ამის გამო მარტი საქართველოს ტერიტორიაზე ხასიათდება მეტად თავისებური, ცვალებადი, ჭირვეული ამინდით. ამ თვეში ჩრდილო ნახევარსფეროში მზის სიმაღლე ჰორიზონტზე მნიშვნელოვნად იმატებს, ამასთან დაკავშირებით იმატებს მზის პირდაპირი რადიაცია დედამიწაზე და სწრაფად მატულობს ჰაერის ტემპერატურა, განსაკუთრებით კი თვის დამლევს.

კლიმატური მონაცემებით, მარტი საქართველოს ტერიტორიაზე თებერვალთან შედარებით საშუალოდ 2-5 გრადუსით თბილია. ჰაერის თვის საშუალო ტემპერატურა დაბლობ რაიონებში მერყეობს 4-დან 9 გრადუსამდე, მთაში 1-დან 6 გრადუსამდე, ხოლო მაღალმთიან რაიონებში 0-დან 5 გრადუს ყინვამდე. მაგრამ ცალკეულ წლებში იგი აღნიშნული საშუალო მრავალწლიური მნიშვნელობიდან რამდენიმე გადაიხრება ხოლმე. ტემპერატურის აბსოლუტური მაქსიმუმი დაბლობ რაიონებში აღწევს 24-28 გრადუს სითბოს, აბსოლუტური მინიმუმი დასავლეთ საქართველოს დაბლობ რაიონებში იკლებს 4-12 გრადუს ყინვამდე, ხოლო ქართლის ვაკესა და კახეთში 8-დან 21 გრადუს ყინვამდე.

საქართველოს ჰიდრომეტცენტრის ამინდის გრძელვადიანი პროგნოზის მიხედვით მიმდინარე წლის მარტში ჰაერის საშუალო თვიური ტემპერატურა დასავლეთ საქართველოს დაბლობ რაიონებში მოსალოდნელია 9-10 გრადუსი, მთიან რაიონებში — 4-7 გრადუსი სითბო, მაღალმთიან რაიონებში 0-2 გრადუსი ყინვა, რაც დაბლობ რაიონებში 1 გრადუსით მაღალია საშუალო მრავალწლიურ მნიშვნელობაზე, მთიან და მაღალმთიან რაიონებში მასთან ახლოს. თვის პირველ ნახევარში შესაძლებელია ტემპერატურის დაკლება ღამით დაბლობ რაიონებში 0-2 ყინვამდე, მთაში 8-8, მაღალმთიან რაიონებში 10-15 გრადუს ყინვამდე.

ნალექების რაოდენობა მოსალოდნელია საშუალო მრავალწლიურ რაოდენობასთან ახლოს (აჭარაში მასზე მეტი).

აღმოსავლეთ საქართველოს ბარში ჰაერის საშუალო თვიური ტემპერატურა მოსალოდნელია 8-7 გრადუსი სითბოს ფარგლებში, მთიან რაიონებში — 2-8 გრადუსი სითბო, მაღალმთიან რაიონებში 1-2 გრადუსი ყინვა, რაც ახლოსაა საშუალო მრავალწლიურ მნიშვნელობასთან. თვის პირველ ნახევარში შესაძლებელია ტემპერატურის დაკლება ღამით ბარში 1-6 გრადუს ყინვამდე, შიდა ქართლში, შირაქისა და ელდარის რაიონებში 7-9 გრადუს ყინვამდე.

ნალექების რაოდენობა ქართლში, გარე კახეთში და მთიან რაიონებში მოსალოდნელია საშუალო მრავალწლიურ მნიშვნელობაზე მეტი, შიდა კახეთში მასთან ახლოს.

მოსალოდნელი ტემპერატურა დასავლეთ საქართველოში ციტრუსების გამოზამთრებისათვის საშიში არ არის.

მარტში დასავლეთ საქართველოს მდინარეთა წყლიანობა მოსალოდნელია ნორმასთან ახლოს და მასზე მაღალი, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს მდინარეებზე ძირითადად ნორმის ფარგლებში.

მარტი რომ წინ გედოს...

ძველი პრესის ფურცლებიდან

„წარმოიდგინეთ, დღეს რომ 12 მარტია, ქუთაისში თოვლი ძევს, და ოკრიბაში კი ჯერჯერობით საურმე გზა არ გახსნილა“.

„დროება“, 1880 წ. 20 მარტი.

ტყუილად კი არ არის ნათქვამი: „მარტი რომ წინ გედოს, ზამთარს ნურც აქებ და ნურც აძაგებო“. პირველ კვირას მარტმა ისეთი მშვენიერი ტაროსი დაიჭირა, რომ მთლად მთა და ველი აამწვანა და მრავალი ხეხილიც აჰყვავდა... მაგრამ მარტმა თავისებურად ბოლო მოიქნია და ამ ორი დღის წინ საშინელი ჭექა-ქუხილის შემდეგ წამოგვიშინა სეტყვა... სეტყვას საშინელი წვიმა მოჰყვა... გუშინ თოვლიც გვეწვია (სიღნაღი)“

„ივერია“, 1885 წ. 28 მარტი.

„სულ გადავჭერით, თუ რამ ხეხილი გაგვაჩნდა ვენახებში (დუშეთის მაზრა).

„ივერია“ 1887 წ. 18 მარტი.

„გაზაფხულდა, ნუში აყვავდა. გუშინ 11 მარტს მოულოდნელად თოვლი მოვიდა (თბილისი)“.

„ივერია“, 1898 წ. 12 მარტი

„მარტი თბილად დაიწყო, აყვავილდა მცენარეები, მაგრამ უცებ თოვლი დასდო დღეს, საშინლად აცივდა“. (ბაკურციხე)“.

„ივერია“, 1898 წ. 14 მარტი.

„მარტში ყველაფერი აბიბინდა, მაგრამ 9 მარტს დაიწყო გაუთავებელი წვიმები და თოვლ-ჭყაპი. ის ეთი სიცივეებია, რომ ზამთარი დაგვავიწყა“... (გურია).

„ივერია“, 1898 წ. 28 მარტი.

„მარტმა 15-ში თავი მოიგიჟიანა და მშვენიერი თბილი დღეები შესცვალა თოვლ-ქარბუქიან ამინდათ“.

„ივერია“, 1898 წ. 3 აპრილი.

„ტფილისში ზოგიერთი ხეხილები, ნუშის ხეები და ყვავილები თებერვლის სითბოების გამო უდროოდ გაიშალნენ. ახლა კი ისეთი სიცივეები დადგა, რომ ყველა ესენი წაახდინა, თბილისის გარშემო ყველგან თოვლი სძევს“.

„ივერია“, 1895 წ. 14 მარტი.

„გამუდმებით ცუდი ტაროსებია. მარტი მიიწურა და გამოზაფხულება არა სჩანს“. (გურია).

„ივერია“, 1896 წ. 28 მარტი

„მარტმა ხალხი სამუშაოდ გამოიტყუა, საძაგელი ამინდები დადგა. ისევ სახლებში „შეგვრეკა“. (ქიზიყი).

„ივერია“, 1896 წ. 25 მარტი.

გამოსათხოვარი

სიმონ კახაძე



გარდაიცვალა სოფლის მეურნეობის ღვაწლმოსილი მუშაკი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი, სამამულო ომის მონაწილე, რესპუბლიკის დამსახურებული აგრონომი, საქართველოს ი. ლომოურის სახელობის მიწათმოქმედების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის აჯამეთის მემინდვრეობის საცდელი სადგურის დირექტორი **სიმონ პლატონის ძე კახაძე.**

ს. კახაძე დაიბადა 1916 წელს. 1939 წელს დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, ხოლო 1949 წელს ამავე ინსტიტუტის ასპირანტურა და მუშაობა დაიწყო აჯამეთის მემინდვრეობის საცდელ სადგურში ჯერ დირექტორის მოადგილედ, ხოლო 1950 წლიდან უკანასკნელ დღემდე — დირექტორად.

ს. კახაძის ხელმძღვანელობით და უშუალო მონაწილეობით დამუშავებულია მრავალი პრობლემათემები; გამოქვეყნებული აქვს 100-ზე მეტი როგორც თეორიული, ისევე განსაკუთრებული პრაქტიკული ღირებულების სამეცნიერო შრომა. იგი წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა კოლხეთის ახლად ათვისებულ მიწებზე მინდვრის კულტურების მეცნიერული ღონისძიებების შემუშავება-დანერგვის საქმეს. მისი ხელმძღვანელობით აღიზარდა ათობით მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, რომლებიც მოღვაწეობენ რესპუბლიკის სხვადასხვა ზონებში.

ს. კახაძე გამოირჩეოდა განსაკუთრებული გულისხმიერებით თანამშრომლებისა და მეგობრების მიმართ. ინსტიტუტის მრავალრიცხოვანი კოლექტივის თითოეული წევრისთვის ითვლებოდა მისაბაძ პიროვნებად. იყო ღირსეული მოქალაქე და ახალგაზრდების დამრიგებელი.

წავიდა ჩვენგან უმწიკვლო, უპრეტენზიო და კეთილშობილი ადამიანი, რომლის ხსოვნა მუდამ დარჩება თანამშრომლების, მეგობრებისა და ახლობლების გულში.

საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო; რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია;

სამეცნიერო საწარმოო გაერთიანება „თავთავი“; საქართველოს ი. ნ. ლომოურის სახელობის მიწათმოქმედების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი;

აჯამეთის მემინდვრეობის საცდელი სადგური.

რეკლამა

ყველას, ყველას, ყველას!
ფირმებს, ორგანიზაციებს, კოოპერატივებს, ასოციაციებსა და კერძო პირებს

ფირმა „ჯორჯიქს-ინტერი“ გთავაზობთ შემდეგ სახის მომსახურებას: ემბლემის, საფირმო წარწერის (ლოგოტიპი), იკონოგრაფიის, ბლანკის, საქაღალდის, კონვერტის, სავიზიტო ბარათის, სამკერდე ნიშნის, ბეჭდის და შტამპის, ნაწარმის შეფუთვის დიზაინსა და გაფორმებას, ეტიკეტის, სარეკლამო წიგნის, ჟურნალ-გაზეთის გაფორმებასა და ილუსტრირებას, პლაკატის, პროდუქციის პროსპექტის, ფერწერული ნამუშევრების, ფერადი გადასაყვანისა (ნაკლეიკა) და სხვა სამხატვრო სამუშაოების მაღალმხატვრულ დონეზე გაფორმებასა და მის პოლიგრაფიულ ბეჭდვას ნებისმიერი ტირაჟით.

ჩვენი მისამართია: ვაჟა-ფშაველას გამზირი 71.
ტელეფონი: 31-90-59 10-დან 15 საათამდე.
(ფირმა „მელოდიას“ შენობა).

GEORGEX inter LTD

ტურისტული ფირმა „არმაზი“

გთავაზობთ საინტერესო ტურისტულ მოგზაურობას საფრანგეთში (4 დღე პარიზი) მაის-ივნისის თვეებში. საგზურის ღირებულება 180 დოლარი და 5000 მანეთია.

გთავაზობთ მოგზაურობას ესპანეთში (8 დღე) მაის-ივნისის თვეებში. საგზურის ღირებულება 295 დოლარი და 5000 მანეთია.

აგრეთვე დასასვენებელ საგზურებს იტალიასა და საბერძნეთში მაის-ივნისის თვეებში. საგზურის ღირებულება 180 დოლარი და 5000 მანეთია.

გთავაზობთ 5 დღიან მოგზაურობას ჩეხოსლოვაკია-გერმანიაში ივლისის თვეში. საგზურის ღირებულება 125 დოლარი და 4000 მანეთია.

აგრეთვე მოგზაურობას პოლონეთში, საგზურის ღირებულება 10 დოლარი და 3000 მანეთია.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ საქართველოს ტურისტულ ფირმა „არმაზს“ შემდეგ მისამართზე: კუტუზოვის ქ. № 8, ცირკის სასტუმრო, II სართული, ტელ.: 36-48-11.

გასწორება

ჩვენი გაზეთის 27 თებერვლის ნომრის მე-4 გვერდზე გამოქვეყნებულ მასალაში „დიდება ხალხისთვის წამებულ რაინდებს“ დაშვებულია შეცდომა. მე-2 აბზაცში ნათქვამი უნდა იყოს, რომ „სიმფონიურმა ორკესტრმა შეასრულა ბეთჰოვენის მუსიკა გოეთეს ტრაგედიისათვის — „ეგმონტი“. ნომერზე მომუშავე მორიგეებს და კორექტორებს, რომელთა მიზეზით გაიპარა შეცდომა, სარედაქციო კოლეგიამ გამოუცხადა საყვედური.

შაბათს, 29 თებერვლის ნომერში (მე-4 გვ.) დაბეჭდილ მასალაში „ან — ფული, ან — სული!“ ნათქვამია, რომ ბოროტმოქმედთა თავდასხმის მსხვერპლი გახდა სანატორიუმ „მთის ბროლის“ დირექტორი **გიორგი გირკელიძე,** რომელიც რაისაავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალაო. საბედნიეროდ, როგორც შეგვატყობინეს, მძიმედ დაჭრილი გ. გირკელიძე ცოცხალი ყოფილა.

რედაქცია ბოდიშს უხდის მკითხველებს გაზეთის ფურცლებზე დაშვებული შეცდომებისათვის.

საქართველოს მეფუტკრეთა ასოციაცია

მიმდინარე წლის 9 მარტიდან აწყობს მეფუტკრეობის შემსწავლელ ორკვირიან კურსებს. კურსებს უძღვება ასოციაციის საბჭოს წევრი, ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი ქალბატონი ვენერა სტეფანიშვილი.

კურსის ღირებულებაა ასოციაციის წევრებისათვის 100 მანეთი, არაწევრებისათვის 200 მანეთი.

ცნობებისათვის მობრძანდით ასოციაციაში, ახალ მისამართზე: ზოია რუხაძის ქუჩა № 1. გეოფიზიკის ინსტიტუტის შენობაში (სპორტის სასახლესთან), ან დარეკეთ ტელ.: 36-56-89.

მთავარი რედაქტორი ზურაბ გოჩიაშვილი.